

ნინო ფარსადანიშვილი

სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებების წარმართვის ეტაპები
ადამიანის უსაფრთხოებისა და სიღარიბის
დაძლევის უზრუნველსაყოფად



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

2019

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის “ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის როლი ადამიანის უსაფრთხოებისა და მიგრაციის უფლებების დაცვაში” (პროექტის ნომერი YS-2016-98) ფარგლებში.

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia within the framework of the project: “Trade Migration and Human Security”, Project Number: YS-2016-98

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

სარჩევი

| | | |
|-------|---|----|
| I. | შესავალი..... | 5 |
| II. | ადამიანის უსაფრთხოებისა და მსოფლიო სავაჭრო სისტემის ჩამოყალიბების პროცესი..... | 7 |
| | 1. ადამიანის უსაფრთხოების განმარტება..... | 8 |
| | 2. დღევანდელი მსოფლიო სავაჭრო სისტემა - ისტორიული განვითარების ტენდენციები 13 | |
| III. | ვმო-ში არსებული ეფექტური მექანიზმი ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად | 17 |
| | 1. ვმო საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში | 20 |
| | 2. ვმო-ს სამოქმედო პრინციპები და ხელშეკრულებები სიღარიბის დაძლევისა და ადამიანის უსაფრთხოების გადასახედიდან | 24 |
| | 3. მომსახურებით ვაჭრობა სიღარიბის აღმოფხვრის გადასახედიდან | 26 |
| | 4. GATS -ის ფარგლებში არსებული უფლებები და ვალდებულებები | 27 |
| IV. | გაეროს მიერ აღიარებული ვმო-ს მნიშვნელობა სიღარიბის დაძლევის მიმართულებით | 32 |
| V. | ვმო-ს ხედვა სიღარიბის აღოფხვრასთან დაკავშირებით | 36 |
| VI. | შრომისა და ვაჭრობის ურთიერთმიმართების მიმოხილვა სიღარიბის აღმოფხვრის პერსპექტივიდან | 40 |
| | 1. შრომითი უფლებები GATS-ის სისტემაში..... | 44 |
| VII. | დროებითი და ცირკულარული მიგრაცია სიღარიბის აღმოფხვრისა და ადამიანის უსაფრთხოების გადასახედიდან | 51 |
| VIII. | დასკვნა | 65 |
| I. | Executive Summary..... | 67 |

გამოყენებული შემოკლებების სია:

გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
ვმო - ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია
გვ. - გვერდი
თბ. - თბილისი
AB – Appellate Body
AJIL – American Journal of International Law
Art. – Article
Cit. – Cited
DS – Dispute Settlement
DSU – Dispute Settlement Understanding
Eds. – Editors
EC – European Commission
ECHR – European Court of Human Rights
EMN – European Migration Network
EU – European Union
GATT – General Agreement on Tariffs and Trade
GATS – General Agreement on Trade in Services
GSP – Generalized System of Preferences
ICJ – International Court of Justice
INT'L L – International Law
J. – Journal
OECD – The Organization for Economic Cooperation and Development
p. – Page
PCIJ – Permanent Court of International Justice
PR – Panel Report
para. – Paragraph
paras. – Paragraphs
R – Report
UN – United Nations
UNDP – United Nations Development Program
US – United States
Vol. – Volume
WT – World Trade
WTO – World Trade Organization

I. შესავალი

საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ადამიანის უსაფრთხოების, სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ერთი შეხედვით ისე ჩანს თითქოს ამ პროცესში ყველა მხარე პოზიციათა შეჯერებულობით მიიღტვის იმისაკენ რომ ხელი შეუწყოს მსოფლიოში საყოველთაო კეთილდღეობის დამკვიდრებას, თუმცა სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებების ეტაპებზე დაკვირვება განსხვავებულ მდგომარეობას ასახავს. აღნიშნული განსაკუთრებით კარგად ჩანს გაეროსა და ვმო-ს სამოქმედო დღისწერიებისა და ყოველდღიური პრაქტიკის ანალიზის ფონზე, კერძოდ, გაეროს 2030 დღისწერით განსაზღვრულია, რომ კაცობრიობის ხსნა სიღარიბისაგან არის მისი უპირველესი მიზანი,¹ ხოლო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია აღიარებს იმ უმნიშვნელოვანეს როლს, რაც ვაჭრობას შეუძლია შეასრულოს მდგრადი განვითარების 2030 მიზნების მიღწევაში.² ეს გარემოება კარგად აჩვენებს საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური პოზიციების ერთიანობას სიღარიბის აღმოფხვრისა და საყოველთაო კეთილდღეობის ხელშეწყობის, როგორც საერთაშორისო განვითარების დღისწესრიგის განუყოფელი ნაწილის³ დაცვის მიმართულებით, თუმცა ისმის კითხვა ნუთუ პრაქტიკაშიც მსგავსი მიდგომა დამკვიდრებული? მდგრადი განვითარების შესახებ მსოფლიო ბანკის მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ კითხვა რომელზედაც ჩვენ დღეს უნდა გავცეთ პასუხი ის კი არ არის გვჭირდება თუ არა მდგრადი განვითარების ამოცანების შესრულება არამედ

¹ Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development, is available on <<https://sustainabledevelopment.un.org/post2015/transformingourworld>>, accessed 23 August 2018; Plan of Implementation of the World Summit on Sustainable Development, p. 2. is available on <http://wedocs.unep.org/bitstream/handle/20.500.11822/19097/Johannesburg_Plan_of_Action.pdf?sequence=1&isAllowed=y>; Rio Declaration on Environment and Development, 3-14 June 1992, principle 5. is available on <http://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_CONF.151.26_Vol.I_Declaration.pdf>, accessed 23 August 2018.

² WTO doc. WT/MIN(15)/DEC.

³ Poverty and Shared Prosperity (2016) at p.1. is available on < <http://www.worldbank.org/en/publication/poverty-and-shared-prosperity>> accessed 23 August 2018.

ის თუ როგორ მოვახერხოთ ეს.⁴ სირთულეები ძირითადად უკავშირდება განსხვავებების არსებობას პოლიტიკური პოზიციების გადანაწილების პროცესში, რაც უბიძგებს ხოლმე მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს არათანმიმდევრული მოქმედებებისაკენ.⁵

თავად ის ფაქტი, რომ მომსახურებით ვაჭრობა დღევანდელი მსოფლიო ვაჭრობის 50%-ს შეადგენს,⁶ ცალსახად მიუთითებს იმ უმთავრეს ასპექტზე, რასაც მომსახურებით ვაჭრობა წარმოადგენს განვითარებადი სახელმწიფოების სიღარიბის პრობლემის მოგვარებას⁷ და ადამიანის უსაფრთხოების დაცვის საქმეში.

სიღარიბის აღმოფხვრასა და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არსებულ საერთაშორისო სახელშეკრულებო ჩარჩოსა და გაერო-ვმო-ს დღისწესრიგებს შორის არსებული მსგავსება-განხვავებულობის ანალიზის პარალელურად მონოგრაფია ასევე ფარავს შემდეგ საკითხებს:

- ვმო-ს მინისტრიალის კონფერენციები და მომსახურებით ვაჭრობის გამარტივებისათვის ინიცირებული მრავალმხრივი ხელშეკრულების ფორმატი;⁸
- გაეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ვმო-ს ფარგლებში არსებული დისკუსიები შრომითი უფლებების მსოფლიო სავაჭრო სისტემაში გათვალისწინების მიმართულებით;
- მომსახურებით ვაჭრობის შესახებ გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში ფიზიკურ პირთა დროებითი გადაადგილების უზრუნველსაყოფად და განვითარებადი სახელმწიფოების ეკონომიკური წინსვლის ხელშესაწყობად მომსახურებით ვაჭრობის ე.წ. მე-4 რეჟიმის ამოქმედების გზები.⁹

⁴ <http://www.worldbank.org/en/topic/sustainabledevelopment/overview>

⁵ Report of the International Conference on Financing for Development, Monterrey, Mexico, 18-22 March 2002, is available on < <http://www.un.org/esa/ffd/monterrey/MonterreyConsensus.pdf>>, accessed 14 March 2018, P. 41.

⁶ Azevêdo Underlines Growing Importance of Services in Global Trade, 17 October 2017, is available on <https://www.wto.org/english/news_e/spra_e/spra193_e.htm> accessed 23 August 2018.

⁷ WTO doc. TN/S/13.

⁸ Bregt Natens, Jan Wouters, 'The State of Play and Future of Services Negotiations in the WTO' (2013) Vol. 4 Check Yearbook of Public and Private International Law, at p. 235.

⁹ Governance and the Law (2017) at p.263, available on <<http://www.worldbank.org/en/publication/wdr2017>> accessed 23 August 2018.

აღნიშნულ საკითხთა ანალიზისთვის მონოგრაფია იყოფა 7 ნაწილად. ნაწილი პირველი ეთმობა შესავალს; მეორე და მესამე ნაწილები მიმოიხილავს სიღარიბის აღმოსაფხვრელად მოქმედ საერთაშორისო ხელშეკრულებებს განსაკუთრებული ფოკუსით განვითარებად სახელმწიფოებზე. მეოთხე თავი ეთმობა საერთაშორისო ვაჭრობაში გასათვალისწინებელ შრომით უფლებებს. მეხუთე თავი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მომსახურებით ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმების ფარგლებში დასაქმების უზრუნველყოფის გარანტიების გაერთიანებას. მეექვსე თავი გამოკვეთს ე.წ. მე-4 რეჟიმის ამოქმედების მნიშვნელობას მომსახურებით ვაჭრობის გამარტივების გადასახედიდან. მეშვიდე თავი აჯამებს მონოგრაფიით მოცულ საკითხებს.

II. ადამიანის უსაფრთხოებისა და მსოფლიო სავაჭრო სისტემის ჩამოყალიბების პროცესი

სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ფარგლებში არსებულმა დინამიურმა განვითარების პროცესებმა გამოიწვია მათივე ინტერესის ზრდა გლობალური პრობლემების მოსაწესრიგებლად და გადასაჭრელად ახალი კონცეფციების, პოლიტიკისა და მიდგომების შესამუშავებლად და ასამოქმედებლად. სწორედ ამის გამოხატულებაა ადამიანის უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებაც, რომელიც ეფუძნება პიროვნებაზე ორიენტირებულ, კონტექსტს მორგებულ, ყოვლისმომცველ და პრევენციაზე დამყარებული მიდგომების შემუშავებასა და ამოქმედებას საერთაშორისო, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე არსებული გამოწვევების საპასუხოდ.¹⁰

თავად ის ფაქტი, რომ გაეროს მიერ შემოთავაზებული ადამიანის უსაფრთხოების განმარტება ერთმანეთთან აკავშირებს ყველა მექაზმს ადამიანის ღირსების, უსაფრთხოების, განვითარების, სიღარიბისგან დაცვისა და გადარჩენის

¹⁰ United Nations Development Program, Human Development Report 1994 [Report 1994], ზგ. 1-3.

უზრუნველსაყოფად გამოკვეთს არამარტო გაეროს არამედ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის როლსაც ამ პროცესში.

მოვლენათა აღნიშნული განვითარება საინტერესოა იმ გადასახედიდანაც, რომ გამოიკვეთოს სხვადასხვა მიდგომებს შორის არსებული განსხვავებები კერძოდ, თუ როგორ ცდილობს საერთაშორისო თანამეგობრობა ვმო-ს დარწმუნებას იმაში, რომ ამ უკანასკნელმა გააქტიუროს ადამიანის უსაფრთხოების ეკონომიკური დაცვის გარანტიები სიღარიბის აღმოფხვრისა და დროებითი მიგრაციის უზრუნველყოფის მიმართულებით, მაშინ, როდესაც თავად ეს ორგანიზაცია განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებს და არ სურს მის დღისწესრიგში დამატებითი საკითხების შემოტანაზე მოლაპარაკებების დაწყება.

გაეროს მიერ შემოთავაზებული ადამიანის უსაფრთხოების განმარტებისა და სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების განსხვავებულობის შედარებითი ანალიზი ცხადყოფს აღნიშნული საკითხის სირთულეს და გამოკვეთს კითხვებს სახელმწიფო სუნივერენიტეტის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და ადამიანის უსაფრთხოების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ისეთი საკითხების გარშემო, როგორცაა ადამიანის უფლება პირად განვითარებაზე და დროებითი მიგრაციის შეზღუდვა.

დასმულ კითხვებზე პასუხების გასაცემად წინამდებარე ნაშრომი მიმოიხილავს ადამიანის უსაფრთხოების, დროებითი მიგრაციისა და სიღარიბის აღმოფხვრის მიმართულებით არსებულ საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს, თუმცა შესაბამისი ანალიზის გაკეთებამდე, უპრიანია შევჩერდეთ თავად ადამიანის უსაფრთხოების განმარტებაზე.

1. ადამიანის უსაფრთხოების განმარტება

პიროვნებაზე ორიენტირებული ადამიანის უსაფრთხოების კონცეფცია პირველად სადისკუსიოდ შემოთავაზებულ იქნა გაეროს განვითარების პროგრამის 1994 წლის

ანგარიშით, რომელიც ცალსახად გამოყოფდა გლობალურ საზოგადოებაში ადამიანის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად ეკონომიკური ელემენტების გათვალისწინების აუცილებლობას. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ადამიანის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს განვითარების ხელშეწყობა და არა იარაღი¹¹ და რომ უსაფრთხოება თავისთავში ასევე გულისხმობს შიმშილისგან თავისუფლებას.¹² ანგარიშში გამოყენებული აღნიშნული მიდგომები ცალსახად მიუთითებს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ეძებს ეკონომიკურ საშუალებებს, ადამიანის უსაფრთხოების დასაცავად. აღნიშნული ანგარიშის გამოქვეყნებას მოყვა ასევე გაეროს გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოების რეზოლუციები, სადაც კიდევ ერთხელ დადასტურდა საერთაშორისო თანამეგობრობის სურვილი, რომ ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის შემუშავებულიყო პრევენციანზე ორიენტირებული და თანამედროვე კონტექსტზე მორგებული მიდგომები.¹³ თავად ის ფაქტი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნებისათვის მოწოდებულია სიღარიბის აღმოფხვრისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად,¹⁴ ხაზს უსვამს აღნიშნულ პროცესში ეკონომიკური კომპეტენციის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობის აუცილებლობას, სადაც ვმომისივე სურვილის შემთხვევაში მოგვევლინება ძალიან მნიშვნელოვან ძალად სწორედ იმიტომ, რომ ის არის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი გამტარი მთელს მსოფლიოში. აღნიშნულ პროცესებში ვმომ-ს გააქტიურება ასევე პირდაპირ იმეორებს გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში გაცხადებულ სახელმწიფოთა სტრატეგიას არსებული და მომავალი საფრხეების დასაძლევად საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი კულტურის ჩამოყალიბების აუცილებლობასთან მიმართებით.¹⁵

¹¹ United Nations Development Program, Human Development Report 1994 [Report 1994], p. 1.

¹² *ibid*, p. 3.

¹³ UN doc A/RES/66/290.

¹⁴ UN doc A/RES/60/1.

¹⁵ UN doc A/66/763.

ადამიანის უსაფრთხოების ყველაზე სრულყოფილი განმარტება, რასაც თავად გაერო გვთავაზობს მდგომარეობს შემდეგში:

“ადამიანის უსაფრთხოება მიზნად ისახავს საყოველთაოდ გავრცელებული საფრთხეების საპასუხოდ ადამიანების გადარჩენას და მათი ღირსების დაცვას. ადამიანის უსაფრთხოება აერთიანებს უსაფრთხოებას, განვითარებასა და ადამიანის უფლებებს, მიიჩნევს რა მათ ადამიანის და მამასადაძმე ეროვნულ უსაფრთხოებად. ადამიანის უსაფრთხოება ხელს უწყობს ადამიანების პიროვნულ განვითარებას და სიღარიბისა და სასოწარკვეთილებისგან დაცულ ღირსეულ ცხოვრებას”.¹⁶

გაეროს მიერ შემოთავაზებული ადამიანის უსაფრთხოების კონცეფცია გამოკვეთს რამდენიმე რთულ კითხვას, რაც დაკავშირებულია თანაფარდობასთან ადამიანის უსაფრთხოებასა და სიღარიბისგან თავისუფალ ღირსეულ ცხოვრებას შორის, მათ კავშირთან სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის, ფიზიკურ პირთა მიერ საზღვრის კვეთისა და განვითარების ურთიერთგადაჯაჭვულ პროცესებთან. აღნიშნული მსჯელობის კვლადაკვალ ისმის კითხვები, კერძოდ რა ურთიერთობების ფარგლები არსებობს ადამიანის უსაფრთხოებასა და სახელმწიფო სუვერენიტეტს შორის, რომელი სარგებლობს უპირატესი იურიდიული ძალით? რამდენად თავსებადია სახელმწიფო სუვერენიტეტი ადამიანის უფლებასთან განვითარებაზე და სიღარიბისგან თავის დასაღწევად დროებითი მიგრაციის უზრუნველყოფასთან?

აღნიშნულ კითხვებზე პასუხები მოცემულია თავად გაეროს რეზოლუციებში კერძოდ, “ადამიანის უსაფრთხოება არ ანაცვლებს სახელმწიფო უსაფრთხოებას”¹⁷, “ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა მოხდეს სახელმწიფო სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევის გარეშე”.¹⁸ ამის პარალელურად გლობალური მართვის კომისია მიიჩნევს, რომ “ადამიანის უსაფრთხოება ისეთივე მნიშვნელოვან მიზნად უნდა იყოს

¹⁶ *ibid.*

¹⁷ UN doc A/RES/66/290.

¹⁸ UN doc A/66/763.

მიჩნეული როგორც ეს არის სახელმწიფო უსაფრთხოების შემთხვევაში”.¹⁹ სახელმწიფო უსაფრთხოებისა და ადამიანის უსაფრთხოების მნიშვნელობის აღქმასთან დაკავშირებით არსებული მიდგომები ცალსახად გამოკვეთს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის უპირატესი მნიშვნელობის მინიჭება შეუძლებელს ხდის იმას, რომ ადამიანის უსაფრთხოება, სახელმწიფო სუვერენიტეტი და სახელმწიფო უსაფრთხოება თანაბარ დონეზე იქნას განხილული.

ადამიანის უსაფრთხოების მნიშვნელობამ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების პრაქტიკაში გამოიწვია მისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად ჩამოყალიბება, ასეთი სახელმწიფოების საუკეთესო მაგალითია კანადა და იაპონია.

კანადის ოფიციალური პოზიციის შესაბამისად განვითარებადი სახელმწიფოებისადმი აღმოჩენილი დახმარება შესაძლებელს ხდის, რომ შემცირდეს სიღარიბე და შესაბამისად მიღწეულ იქნას მთავარი მიზანი - საერთაშორისო დონეზე განვითარების უზრუნველყოფა.²⁰

იაპონიის პოზიციის შესაბამისად კი ადამიანის უსაფრთხოებისათვის ხელის შეწყობა ნიშნავს იმ ხალხის წინაშე არსებული საფრთხეების შემცირებას რომელიც დაუცველია და შესაბამისად საჭიროებს მხარდაჭერას ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გადასახედიდან.²¹

მიუხედავად იმისა, რომ კანადაც და იაპონიაც განვითარებული ქვეყნების სტატუსის ქვეშ ერთიანდებიან, ზევით აღნიშნული მათივე საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები აშკარად მიუთითებენ განსხვავებებზე ამ ორი ქვეყნის ხედვებს შორის მოაწესრიგონ საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ადამიანის

¹⁹ Commission on Global Governance, 'Our Global Neighborhood: The Report of the Commission on Global Governance' (1995), pp. 80-81, cit. in: B. von Tigerstrom, *Human Security and International Law* (Hart Publishing 2007) p.23.

²⁰ Foreign Affairs, Trade and Development - Canada, 'Promoting Stability and Security' <<http://www.international.gc.ca/development-developpement/priorities-priorites/security-securite.aspx?lang=eng>>, accessed 20/11/2015.

²¹ Ministry of Foreign Affairs of Japan, The Trust fund for Human Security, for the 'Human-centered 21st Century' <http://www.mofa.go.jp/policy/human_secu/t_fund21.pdf> accessed 20/11/2015.

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები. ეს განსხვავებულობა დგება დღისწესრიგში მაშინაც კი როდესაც ადამიანის უსაფრთხოების ერთიან და შეჯერებულ განმარტებას გვთავაზობს თავად გაერო, რადგან სახელმწიფოებს ყოველთვის უხდებათ საკუთარი სამართლებრივი პრაქტიკის გათვალისწინება განმარტებათა ყოველდღიურობაში გადმოტანის დროს. აღნიშნული სულაც არ არის გასაკვირი, რადგან საყოველთაოდ აღიარებული სუვერენიტეტისა და შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები აძლევს სახელმწიფოებს თავისუფლებას საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას გაითვალისწინონ საკუთარი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ჩარჩო. თავად საერთაშორისო ორგანიზაციებიდან კი ძალიან ცოტას აქვს ისეთი ეფექტური მექანიზმები საერთაშორისო სახელმწიფოებო ვალდებულებათა შესასრულებლად როგორც ეს არის უზრუნველყოფილი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში. აღნიშნული კი ხაზს უსვამს იმას, რომ ადამიანის უსაფრთხოება უფრო მეტად იქნებოდა დაცული საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი გამტარის ანუ ვმო-ს ფარგლებში არსებული აღსრულების მექანიზმები, რომ იყოს ამ სფეროში აქტიურად გადმოტანილი, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეკონომიკური ფაქტორი ადამიანის უსაფრთხოების მხოლოდ ერთი ნაწილია რომელიც თავისთავში აერთიანებს განვითარებას, მიგრაციას და ვაჭრობას. თავად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დაინტერესება აღნიშნული საკითხით კი უკეთ უზრუნველყოფს ადამიანის უსაფრთხოების ეკონომიკურ ასპექტებთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებას.²²

იმისათვის რათა უფრო ნათელი გახდეს თუ რა მნიშვნელობა აქვს და როგორი ეფექტურობით გამოირჩევა ვმო მსოფლიოში მდგარი ეკონომიკური გამოწვევების დაძლევაში ნაშრომის შემდეგი თავი მიმოიხილავს დღეს არსებული მსოფლიო სავაჭრო სისტემის ჩამოყალიბების ისტორიას.

²² Universal Declaration on Human Rights, (adopted 10 December 1948 UNGA Res 217 (III) (UDHR), Art. 3.

2. დღევანდელი მსოფლიო სავაჭრო სისტემა - ისტორიული განვითარების ტენდენციები

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, როგორც თავად სახელწოდებიდან გამომდინარეობს გვევლინება სახელმწიფოთაშორისი სავაჭრო ურთიერთობების მომწესრიგებელ უმთავრეს საერთაშორისო ორგანიზაციად. ვმო-ს ისტორიული განვითარების ტენდენციებზე დაკვირვება განსაკუთრებით საინტერესოა ადამიანის უსაფრთხოების ეკონომიკური ასპექტების უკეთ შესასწავლად და იმის დასადგენად თუ რა მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების გააქტიურებას საიმისოდ, რომ დაძლეულ იქნას სიღარიბე, უზრუნველყოფილ იქნას მსოფლიო ეკონომიკური ზრდა და გათვალისწინებულ იქნას განვითარებადი სახელმწიფოების ინტერესები მდგრადი განვითარების დღისწესრიგით გათვალისწინებული საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევის პროცესში.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის გააქტიურებაზე სიღარიბის დაძლევისა და შესაბამისად ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობის დაინტერესება ეფუძნება რამდენიმე ფაქტორს. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის არის, ვმო-ს რეგულირების სფერო, ორგანიზაციის სამოქმედო პრინციპები და დავების განხილვის ძალიან ეფექტური მექანიზმის არსებობა. მსოფლიო სავაჭრო სისტემის თითოეული ხსენებული კომპონენტი განხილულია წინამდებარე ნაშრომში, თუმცა სანამ ამ კომპონენტებს შევეხებოდეთ ვნახოთ, როგორი ისტორიული ფონი უძღვოდა ორგანიზაციის დღეს არსებული ფორმატით ჩამოყალიბებას.

1995 წლის 1 იანვარი, თარიღი როდესაც გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი გამტარი – ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ოფიციალურად შეუდგა მუშაობას²³ მსოფლიო კეთილდღეობის უზრუნველყოფის ნაგულისხმევი

²³ John H. Jackson, *The Jurisprudence of GATT and The WTO*, (Cambridge University Press 2000), gv. 1, cit.: Sharif Bhuiyan, *National Law in WTO Law Effectiveness and Good Governance in the World Trading System*, (Cambridge University Press, 2011) gv. 1

კომპეტენციიდან გამომდინარე უდაოდ არის განსაკუთრებული მოვლენა რომელმაც საფუძველი დაუდო სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების განსხვავებული კულტურის ჩამოყალიბებას. შესაბამისად მარაკემის შეთანხმება, რომელსაც ასევე უწოდებენ ვმო-ს ხელშეკრულებას უდაოდ წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ დოკუმენტს სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების თანამედროვე განვითარების ეტაპზე.²⁴

თანამედროვე სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში არსებითი როლი ითამაშა 1945 წელმა. ეს ის პერიოდია, როდესაც სახელმწიფოთა თანამეგობრობამ გადაწყვიტა ერთიანი ბრძოლა ეკონომიკური სირთულეების დასაძლევად და მსოფლიო ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული სამომავლო შეიარაღებული კონფლიქტების აღმოცენება. სწორედ ამიტომ “ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით დაიწყო აქტიური მოლაპარაკებები სახელმწიფოთაშორის ვაჭრობაში ტარიფების შემცირების მრავალმხრივი პოლიტიკის შესამუშავებლად და ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმების (შემდგომში ასევე - GATT) ტექსტის შესამუშავებლად, რომელზე მუშაობაც დასრულდა 1947 წელს და ძალაში შევიდა 1948 წელს”.²⁵

²⁴ Sharif Bhuiyan, National Law in WTO Law Effectiveness and Good Governance in the World Trading System, (Cambridge University Press, 2011) გვ. 1

²⁵ The WTO Legal Underpinnings, WTO e-learning copyright, 1 January 2013, გვ. 3; John H. Barton, Judith L. Goldstein, Timothy E. Josling and Richard H. Steinberg, The Evolution of the Trade Regime, (Politics, Law and Economics of the GATT and the WTO), Princeton 2008, გვ. 1-2. ნ. ფარსადანიშვილი, “საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით”, სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 10-11; Understanding the WTO: The GATT years: from Havana to Marrakesh, WTO Publication, ხელმისაწვდომია: <http://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/fact4_e.htm>, ბოლოს ნანახია: 15.05.2013 წ.; იხილეთ ასევე: Amrita Narlikar, The World Trade Organization (a very short Introduction), (Oxford University Press 2005), გვ. 2-3.

1948 წლიდან 1994 წლამდე პერიოდში ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმება იძლეოდა ამ დროისათვის ძირითად წესებს საერთაშორისო ვაჭრობის წარმოების შესახებ.²⁶

სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება გაგრძელდა GATT-ის ხელმოწერის შემდეგაც, რათა უფრო მეტად დახვეწილიყო გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრის გზები და სახელმწიფოთაშორის ვაჭრობაში შემოტანილიყო ახალი სფეროები, როგორცია მათ შორის მომსახურებით ვაჭრობა. ამ მიზნებისათვის სახელმწიფოთა თანამეგობრობამ მონაწილეობა მიიღო სავაჭრო მოპალარაკებათა რვა რაუნდში, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის იყო სავაჭრო მოლაპარაკებათა ურუგვაის რაუნდი რომლის შედეგადაც დაარსდა ვმო-ც და შეთანხმებულ იქნა სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების მომწესრიგებელი დღემდე არსებული ხელშეკრულებების ტექსტები, რომლებიც დანართად დაერთო ვმო-ს სადამფუძნებლო ხელშეკრულებას.²⁷

სწორედ ურუგვაის რაუნდის სავაჭრო მოლაპარაკებებმა შემოიტანა მომსახურებით ვაჭრობის თემა (სხვა საკითხებს შორის) სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ვმო-ს ფარგლებში და ვაჭრობის პოლიტიკის მიმოხილვის მექანიზმთან ერთად ჩამოაყალიბა დავების განხილვის სისტემა წევრ სახელმწიფოთა სავაჭრო პოლიტიკისა და პრაქტიკის გაკონტროლების ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნებისათვის.²⁸

²⁶ Understanding the WTO: The GATT years: from Havana to Marrakesh, WTO Publication, ხელმისაწვდომია: <http://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/fact4_e.htm>, ბოლოს ნანახია: 15.05.2013 წ.; იხილეთ ასევე: Amrita Narlikar, The World Trade Organization (a very short Introduction), (Oxford University Press 2005), გვ. 2-3. იხილეთ ასევე: Richard Peet, Unholy Trinity, The IMF, World Bank and WTO, (Zed Books, 2009), გვ. 36-37.

²⁷ Understanding the WTO: GATT: 'provisional' for almost half a century, WTO Publication, ხელმისაწვდომია: <http://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/fact4_e.htm>, ბოლოს ნანახია: 02.08.2013 წ., Meredith Kolsky Lewis and Susy Frankel (eds), International Economic Law and National Autonomy, (Cambridge University Press 2010), გვ. 22.

²⁸ Guzman Pauwelyn, International Trade Law, (Wolters and Kluwer 2009), გვ. 80; უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ასევე: Understanding the WTO: The Uruguay Round, WTO Publication,

“ურუგვაის რაუნდი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დაარსებით მიზნად ისახავდა ინტეგრირებული სამართლებრივი სისტემის შექმნას მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობებში”.²⁹ ხოლო დავების განხილვის წესებისა და პროცედურების დამდგენმა ხელშეკრულებამ საფუძველი დაუდო დავების განხილვის ეფექტიანი სისტემის შემუშავებას და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ვალდებულებათა ჯეროვანი აღსრულების პრაქტიკის ჩამოყალიბებას.³⁰

2001 წლიდან სახელმწიფოები ჩაერთნენ მოლაპარაკებათა ახალ ნაკადში, ე.წ. "დოჰას განვითარების დღის წესრიგში".³¹

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, 2016 წლის 29 ივლისის მონაცემებით, გაწევრიანებულია 164 სახელმწიფო,³² რომლებიც მოწოდებულნი არიან მსოფლიო ვაჭრობის წარმოების პროცესში საერთაშორისოდ აღიარებულ წესებსა და რეგულაციებზე დამყარებული განჭვრეტადი და სტაბილური სავაჭრო გარემოს შესაქმნელად, ვმო-ს საგნობრივი იურისდიქციის გათვალისწინებითა და მის ფარგლებში დადებული მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების აღსრულების ეფექტიანი მექანიზმის არსებობის პირობებში.³³

მართალია მსოფლიო სავაჭრო სისტემა GATT-ის ამოქმედების პერიოდისათვის მოიცავდა მხოლოდ საქონლით ვაჭრობის მომწესრიგებელ ნორმებს, რაც დროთაგანმვალობაში განვითარდა და დღეს, ფაქტობრივად, ფარავს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების თითქმის ყველა სფეროს, უნდა

ხელმისაწვდომია: <http://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/fact4_e.htm>, ბოლოს ნანახია: 02.08.2013 წ.

²⁹ ნ. ფარსადანიშვილი, “საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით”, სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 12.

³⁰ J.G. Merrills, *International Dispute Settlement*, (Cambridge University Press 2007), გვ. 212, ზოგადი მიმოხილვისთვის იხ. ასევე P.C. Mavroidis, *The World Trade Organization: Law, Practice and Policy*, (Oxford University Press 2003).

³¹ *Understanding the WTO: The Uruguay Round*, WTO Publication, ხელმისაწვდომია: <http://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/fact4_e.htm>, ბოლოს ნანახია: 02.08.2013 წ.

³² 164 members since 29 July 2016 , with dates of WTO membership, ხელმისაწვდომია: <https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/org6_e.htm>, ბოლოს ნანახია: 16.12.2019 წ. საქართველო მას შეუერთდა 2000 წლის 14 ივნისს.

³³ ნ. ფარსადანიშვილი, “საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით”, სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 13;

ადინიშნოს, რომ ვმო-ის წარმატების მთავარი მიზეზი არის მის ფარგლებში წევრ სახელმწიფოთა შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების აღსრულების ეფექტიანი მექანიზმის არსებობა, რომლის შეუფერხებლად მუშაობის გარანტს წარმოადგენს ურუგვაის რაუნდის მოლაპარაკებათა შედეგად ჩამოყალიბებული დავების განხილვის მექანიზმი.³⁴

როგორც ეს ნაშრომის შემდგომი ნაწილებიდანაც კარგად გამოჩნდება ვმო-ს მნიშვნელობა სიღარიბის დაძლევისა და ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით ფართოდ არის აღიარებული, სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, მაგრამ სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ იმ პოზიციების ანალიზზე, რომელიც გამოკვეთს ვმო-ს აქტიური მონაწილეობის აუცილებლობას მსოფლიო ეკონომიკური ზრდისა და ადამიანის უსაფრთხოების მიმართულებით უპრიანია პასუხი გავცეთ კითხვას თუ რატომ არის მიჩნეული ვმო მსოფლიოს წინაშე არსებული გამოწვევების მომწესრიგებელ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ორგანიზაციად იმის ფონზე, რომ ადამიანის უსაფრთხოებისა და სიღარიბის აღმოფხვრის მიმართულებით არაერთი საერთაშორისო აქტორი მოღვაწეობს გლობალურ დონეზე.

III. ვმო-ში არსებული ეფექტური მექანიზმი ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად

გაეროს განვითარების პროგრამის მიერ 1994 წლის ანგარიშში გამოკვეთილი კავშირი ადამიანის უსაფრთხოებასა და გლობალური ეკონომიკური ზრდის განვითარების დინამიკასთან, ხაზს უსვამს, ეკონომიკური პროფილის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების გააქტიურების მნიშვნელობას ამ მიმართულებით, რაშიც უპირველესად იგულისხმება ვმო.

ვმო-ს სამოქმედო დღისწესრიგსა და პრაქტიკაზე დაკვირვება აშკარად აჩვენებს, რომ ამ ორგანიზაციის ეფექტურობის მთავარი გასაღები, ორგანიზაციის

³⁴ ibid.

კომპეტენციის სფეროს მიკუთვნებულ სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების სფეროში იმალება. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით სახელმწიფოები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან, როგორც საერთო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესს ასევე, განსაკუთრებულად ცდილობენ, რომ საერთაშორისო დონეზე მათი მოქმედების წარმართვისას მაქსიმალურად დაიცვან შეთანხმებული ეკონომიკური წესები რათა საბოლოო ჯამში არ დააზარალონ საკუთარი ეკონომიკური ინტერესები. სახელმწიფოთა მხრიდან ვმო-ს ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ერთ-ერთ უმთავრეს გარანტს წარმოადგენს ორგანიზაციის ფარგლებში არსებული დავების განხილვის სისტემა რომელიც უზრუნველყოფს მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის განჭვრეტადობასა და უსაფრთხოებას.³⁵

“ვმო-ის დავების განმხილველი ორგანოს პრაქტიკაში ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც განხილულა არა მხოლოდ ვმო-ის სახელშეკრულებო ნორმების დარღვევის საკითხი, არამედ წევრი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის გავლენისა როგორც მიმდინარე სავაჭრო პრაქტიკაზე, ასევე სამომავლო ვაჭრობაზე. უსაფრთხოებისა და განჭვრეტადობის ეს სისტემა ჩამოიშლებოდა იმ შემთხვევაში, თუ დავების განმხილველი ორგანოს წინაშე ვერ მოხდებოდა წევრი სახელმწიფოს ვმო-ის ფარგლებში აღებული ვალდებულებების დამრღვევი შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმის გასაჩივრება პანელისა და სააპელაციო პალატის წინაშე. შესაბამისად, შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმების წინააღმდეგ სარჩელების დასაშვებობა ემსახურება იმ მიზანს, რომ, ერთი მხრივ, შენარჩუნდეს და დაცულ იქნეს უსაფრთხოება და განჭვრეტადობა და, მეორე მხრივ, საფუძველშივე აღმოიფხვრას წევრ სახელმწიფოთა ვმო-სთან შეუსაბამო ქმედება”.³⁶

“უსაფრთხოებისა და განჭვრეტადობის შენარჩუნება ნიშნავს იმას, რომ მსგავს

³⁵ Dispute Settlement Understanding, Art. 3.

³⁶ Appellate Body Report, *US - Corrosion-Resistant Steel Sunset Review*, DS244, para. 82.

სამართლებრივ საკითხს დავების განმხილველი ორგანო გადაწყვეტს მსგავსი მიდგომის გამოყენებით”.³⁷

“პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ორმხრივი და რეგიონალური სავაჭრო შეთანხმებების არსებობის პარალელურად ვმო-ის დავების განხილვის სისტემა რჩება ერთადერთ ფორუმად, რომლის გამოყენებაც არის შესაძლებელი ვაჭრობასთან დაკავშირებული დავების განსახილველად; მეორე, სისტემას დღითიდღე მიმართავს ვმო-ის უფრო და უფრო მეტი წევრი სახელმწიფო; და მესამე, ვმო-ის სამართალი მიჩნეულია როგორც ყველაზე სწრაფად მზარდი საერთაშორისო სამართლის წყარო. ვმო-ის დავების განმხილველი ორგანოს ლეგიტიმურობასა და ავტორიტეტს განაპირობებს ამ სისტემის დამოუკიდებლობა და მოქნილობა, განიხილოს და გადაწყვეტილება გამოიტანოს სახელმწიფოთაშორის დავებზე. ვმო-ის დავების განხილვის სისტემის ლეგიტიმურობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ის არის დარღვეული უფლების აღდგენის ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომელშიც არა მარტო მზარეთა ინტერესების გათვალისწინება, სავაჭრო ურთიერთობათა მგრძნობიარობის მხედველობაში მიღება და, შესაბამისად, სახელშეკრულებო ნორმების მოშველიებით მზარეებისათვის უფლება-ვალდებულებების ფარგლების შეხსენება ხდება, არამედ გადაწყვეტილებები რეალურად სრულდება, და არა მხოლოდ განვითარებული, არამედ განვითარებადი სახელმწიფოების სასარგებლოდაც კი”.³⁸

დამატებითი ფაქტორი, რაც ზრდის ვმო-ის სამართლისადმი მიმართვიანობის მაჩვენებელს, არის საქმის განხილვის პროცედურების აბსოლუტური სიცხადე და დავის გადაწყვეტის ოპერატიულობა. მაგალითისათვის ისიც კმარა, რომ, მიუხედავად განსახილველი საქმეების სიმრავლისა, სააპელაციო პალატას მაქსიმუმ

³⁷ Appellate Body Report, *US - Stainless Steel (Mexico)*, DS344, para. 160.

³⁸ Dispute Settlement: Appellate Body, Farewell speech of Appellate Body Member David Unterhalter, ხელმისაწვდომია: < http://wto.org/english/tratop_e/dispu_e/unterhalterspeech_e.htm>, 23/04/2015წ. მდგომარეობით.

90 დღეში გამოაქვს გადაწყვეტილება, რაც, თავის მხრივ, მიუთითებს სისტემის მოქნილობასა და ეფექტურობაზე.³⁹

დავების განხილვის ეფექტური მექანიზმის არსებობა და გლობალური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენენ უმთავრეს ფაქტორებს ორგანიზაციის დღითიდღე მზარდი გაფართოების პროცესში. “დავების განხილვის სისტემა ქმნის სტაბილურ და დაცულ გარემოს სახელმწიფოთა სავაჭრო ურთიერთობებში, რათა არსებული დავები გადაწყდეს ერთიანი მიდგომის შესაბამისად და თავიდან იქნეს აცილებული შესაძლო გაურკვევლობები სამართლებრივი პროცესების დინამიური განვითარების პარალელურად”.⁴⁰

მორიგი ფაქტორი რის გამოც ვმო-ს გააქტიურება განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია ადამიანის უსაფრთხოებისა და სიღარიბის აღმოსაფხვრელად არის მისი გაცხადებული სურვილი ითანამშრომლოს სხვა გლობალურ აქტორებთან და წარმოადგენდეს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ზოგადსამართლებრივი ჩარჩოს ნაწილს. სწორედ აღნიშნული საკითხი არის განხილული ნაშრომის შემდეგ ნაწილში.

1. ვმო საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში

იმისათვის რათა უკეთ იქნას გაანაზღვრული ადამიანის უსაფრთხოებისა და სიღარიბის დამლევის შესაძლებლობები მსოფლიო სავაჭრო სისტემაში უნდა გაირკვეს თუ როგორი დამოკიდებულება აქვს თავად ვმო-ს ზოგადი საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოსადმი კუთვნილების მიმართულებით.

“სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, საერთაშორისო სავაჭრო სამართალი არის საერთაშორისო სამართლის

³⁹ ნ. ფარსადანიშვილი, “საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით”, სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 76.

⁴⁰ *ibid.*, გვ. 77.

განუყოფელი/დაქვემდებარებული ნაწილი. ის გვევლინება როგორც სპეციალური სამართალი ზოგად საერთაშორისო სამართალთან მიმართებით”.⁴¹ თუ საერთაშორისო სამართალი არის საერთაშორისო ნორმებისა და პრინციპების ძირითადი წყარო, მაშინ თავად ვმო-ის სამართლის შემადგენელი ნორმები და პრინციპები გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლიდან. საერთაშორისო სამართალი არის ის ძირითადი საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც ივსება ვმო-ის სამართალში არსებული ხარვეზები და დავების განმხილველი ორგანოს მიერ ხდება გადაწყვეტილებების გამოტანა.⁴²

უფრო მეტიც ვმო-ს დავების განხილვის წესებისა და პროცედურების შესახებ შეთანხმების მე-3,2 მუხლი აცხადებს, რომ ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედი ხელშეკრულებების განმარტებისას გამოყენებულ უნდა იქნას ვენის კონვენციის 31-ე მუხლი, როგორც სახელშეკრულებო ნორმის განმარტების ზოგადი წესისა, რადგანაც ამ წესმა შეიძინა ჩვეულებითი ნორმის სტატუსი.⁴³ ეს დებულება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ვმო-ის ხედვას იმის თაობაზე, რომ მის ფარგლებში დადებული შეთანხმებები არ უნდა განიხილებოდეს საერთაშორისო საჯარო სამართლისგან "კლინიკურ იზოლაციაში".⁴⁴

ვმო-ის დავების განხილვის სისტემა ცენტრალურ როლს ასრულებს საერთაშორისო ვაჭრობის უსაფრთხოებისა და განჭვრეტადობის უზრუნველყოფის მიმართულებით. წევრი სახელმწიფოები აღიარებენ მის როლს, უფლებათა და

⁴¹ ნ. ფარსადანიშვილი, "საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით", სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 24.

⁴² Justice Florentino P. Feliciano Former Member and Chairman Appellate Body World Trade Organization, Lecture: "Interpretation of Treaties: The Experience of the Appellate Body, WTO", Filmed at Cambridge University in conjunction with the Lauterpacht Centre for International Law. იხ. ასევე: ნ. ფარსადანიშვილი, "საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით", სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015) გვ. 24.

⁴³ *Territorial Dispute Case (Libyan Arab Jamahiriya v. Chad)*, (1994), I.C.J. Reports p. 6 (International Court of Justice); *Colder v. United Kingdom*, ECHR, Series A, (1995) no. 18 (European Court of Human Rights); *Restrictions to the Death Penalty Cases*, (1986) 70 International Law Reports 449 (Inter-American Court of Human Rights); Jimenez de Arechaga, "International Law in the Past Third of a Century" (1978-1) 159 Recueil des Cours 1, p. 42; D. Carreau, *Droit International* (3e ed., 1991) p. 140; Oppenheim's *International Law* (9th ed., Jennings and Watts, eds. 1992) Vol. 1, pp. 1271-1275.

⁴⁴ Appellate Body Report, *US - Gasoline*, DS2, p. 17.

ვალდებულებათა აღსრულების თვალსაზრისით, იმ დადებულ ხელშეკრულებათა ფარგლებში, რომელთა განმარტებაც უნდა მოხდეს საერთაშორისო საჯარო სამართლის განმარტებისათვის ჩვეულებით სამართალში დადგენილი წესებით.⁴⁵ აღსანიშნავია, რომ ვმო-ის სამართლის ძირითად წყაროებს მიეკუთვნება დავების განხილვის მარეგულირებელი წესების შესახებ შეთანხმების პირველ დანართში ჩამოთვლილი ხელშეკრულებები,⁴⁶ რომლებიც ინკორპორირების მექანიზმის არსებობის პირობებში ასევე იმყოფებიან გარკვეულ კავშირში სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებათა ნორმებთან, რომლებიც, ვმო-ის სამართლის განმარტების მიზნებიდან გამომდინარე, ასევე ითვლებიან ვმო-ის სამართლის წყაროდ. როგორც სააპელაციო პალატამ ცხადად აღნიშნა, არაერთ გადაწყვეტილებაში დავების განმხილველი ორგანოს მიერ სახელშეკრულებო ნორმის ინტერპრეტაციისას ამოსავალი ნორმა არის სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 31-ე მუხლი, რომელიც მიუთითებს, რომ ხელშეკრულება უნდა იქნეს განმარტებული კეთილსინდისიერად, ტერმინების კონტექსტობრივი მნიშვნელობისა და ხელშეკრულების ობიექტისა და მიზნის გათვალისწინებით. კონტექსტთან ერთად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შესაბამისი პრაქტიკა მხარეების მიერ ამ ხელშეკრულების განმარტების გამოყენების მიზნებისათვის.⁴⁷ კიდევ ერთი მორიგი მნიშვნელოვანი განაცხადი, რაც გააკეთა ვმო-ის დავების განმხილველმა ორგანომ, არის ის, რომ წევრ სახელმწიფოს შეუძლია ჩაერთოს დავაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადავო ნორმის დარღვევით მისი ინტერესები

⁴⁵ Understanding on Rules and Procedures Governing the Settlement of Disputes (1994), Art. 3.2.

⁴⁶ *ibid.*, Appendix 1, ვმო-ის სამართლის ძირითადი წყაროებია შემდეგი საერთაშორისო ხელშეკრულებები: Agreement Establishing the World Trade Organization; Multilateral Trade Agreements; Multilateral Agreements on Trade in Goods; General Agreement on Trade in Services; Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights; Understanding on Rules and Procedures Governing the Settlement of Disputes; Agreement on Trade in Civil Aircraft; Agreement on Government Procurement; International Dairy Agreement; International Bovine Meat Agreement; ამ ხელშეკრულებების მიღება მოხდა 1994 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში და ხელმისაწვდომია შემდეგი ბმულის გამოყენებით: <www.wto.org>.

⁴⁷ *EC-Bannanas III*, Panel Report, DS27, para. 7.14. ო. ასევე: ნ. ფარსადანიშვილი, “საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით”, სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 28.

პირდაპირ არ შელახულა, თუმცა არსებობს იმის პოტენციური საფრთხე, რომ სამომავლოდ შესაძლებელია ინტერესთა შელახვაც. ამ შემთხვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს ასევე იმ გადასახედიდან, რომ, როგორც დავების განმხილველი ორგანო უთითებს თავის გადაწყვეტილებაში, მსგავსი პრაქტიკა შესაბამისია სხვა საერთაშორისო ტრიბუნალების პრაქტიკასთან და მაგალითად არის მოხმობილი მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო.⁴⁸

ნაშრომში მოცემული ინფორმაციის ანალიზის ფონზე დგინდება, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში არსებული დავების განხილვის სისტემა, ერთი მხრივ, ემორჩილება თავად ვმო-ში არსებულ საერთაშორისო სახელშეკრულებო ჩარჩოს, ხოლო მეორე მხრივ, აუცილებლად ითვალისწინებს საერთაშორისო საჯარო სამართლისათვის დამახასიათებელ პრაქტიკას სადავო საკითხზე გადაწყვეტილების გამოტანის მიმართულებით.⁴⁹

აღნიშნული ნაკარნახევია იმ გარემოებით, რომ კიდევ ერთხელ გაესვას ხაზი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კუთვნილებას საერთაშორისო საჯარო სამართლისადმი და, ამავე დროს, ხელი შეეწყოს განსხვავებული ხედვებიდან გამომდინარე შესაძლო გართულებებს, თუმცა პრაქტიკაში პრობლემები მაინც იქმნება. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სასამართლოები და ტრიბუნალები იზიარებენ სახელშეკრულებო ნორმის განმარტების საყოველთაოდ აღიარებულ წესებს, პრაქტიკაში არსებული გამოწვევები დაკავშირებულია მათ მიერ გამოყენებულ არგუმენტაციასთან, როდესაც იქმნება ისეთი შემთხვევა, რომ სამართლის ერთი და იგივე ნორმა სხვადასხვანაირად განიმარტება სხვადასხვა საერთაშორისო სასამართლოს მიერ. ეს ე.წ. კონკურენტული იურისდიქციების

⁴⁸ *ibid.*, paras. 7.50. 7.175. Panel Report on Italian *Discrimination against Imported Agricultural Machinery*, adopted on 23 October 1958, BISD 75/60, 63-64, para. 11. ^{ს. ასევე:} ნ. ფარსადანიშვილი, “საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით”, სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 28-29.

⁴⁹ ნ. ფარსადანიშვილი, “საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით”, სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 29.

პრობლემა უცვლელად დარჩება, თუ არ მოხდება შეთანხმება ერთიან მიდგომაზე და ამ ხედვის დანერგვაზე გადაწყვეტილებების გამოტანის პროცესში.⁵⁰

2. ვმო-ს სამოქმედო პრინციპები და ხელშეკრულებები სიღარიბის დაძლევისა და ადამიანის უსაფრთხოების გადასახედიდან

ცხადია, რომ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები ეკონომიკური განვითარების გადასახედიდან გლობალური ვაჭრობის უამრავ ასპექტს აერთიანებს, თუნდაც როგორცაა მაგალითად საქონლით ვაჭრობა, ინტელექტუალური საკუთრებით ვაჭრობა და სხვა, მაგრამ წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის ჩვენ ვფოკუსირდებით მომსახურებით ვაჭრობის შესახებ ზოგად შეთანხმებაზე GATS-ი, რათა შევაფასოთ მომსახურების გამწევთა შრომით-სამართლებრივი სტატუსი და დროებითი მიგრაციის პერსპექტივები ადამიანის უსაფრთხოებისა და სიღარიბის აღმოფხვრის მიმართულებით.

GATS-ის მიზნების მიმოხილვამდე მნიშვნელოვანია მოკლედ მიმოვიხილოთ ის პრინციპები, რომლებიც წარმოადგენენ თანამედროვე სავაჭრო ურთიერთობების მამოძრავებელ მექანიზმს.

დღეს არსებული მსოფლიო სავაჭრო სისტემა, ძირითადად, ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:⁵¹

1. თავისუფალი ვაჭრობა;
2. განჭვრეტადობა;
3. სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობა;
4. განვითარებისა და ეკონომიკური რეფორმის წახალისება;
5. ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე.

⁵⁰ *ibid.*

⁵¹ Understanding the WTO: Principles of Trading Sistem, WTO Publication, გვ: 10, ხელმისაწვდომია: <http://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/fact4_e.htm>, ნანახია: 15.05.2013 წ. ო. ასევე: ნ. ფარსადანიშვილი, "საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით", სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015) - 30-31 გვ.

თავისუფალი ვაჭრობა – გულისხმობს, მოლაპარაკებათა დინამიური განვითარების პროცესის უზრუნველყოფას სავაჭრო ბარიერების, ტარიფებისა და კვოტების შესამცირებლად სახელმწიფოთაშორისი თავისუფალი ვაჭრობის ხელშესაყოფად.⁵²

განჭვრეტადობა და გამჭვირვალობა – უზრუნველყოფს ტარიფების უცვლელობას შეთანხმებული პერიოდით და შეთანხმებული მოქმედების არეალით, ბიზნესის წარმოების სტაბილურობისა და განჭვრეტადობის უზრუნველყოფის მიზნებისათვის.⁵³ შესაბამისი რეგულაციის ცვლილების შემთხვევაში წევრისახელმწიფო ვალდებულია, რომ უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციის ოფიციალური გამოქვეყნება სავაჭრო პროცესში გამჭვირვალობის შესანარჩუნებლად.⁵⁴

სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობა – აღნიშნული პრინციპი გამომდინარეობს უპირატესი მოპყრობის, ადგილობრივი მოპყრობისა და, დისკრიმინაციის აკრძალვის ვმო-ს გაბატონებული წესებიდან, რომლებიც ადგენენ სახელმწიფოთა პრაქტიკას სამართლიანი კონკურენციის წარმოებისა და არაჯანსაღი კონკურენციით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების მიმართულებით.⁵⁵

განვითარებისა და ეკონომიკური რეფორმის წახალისება – ეს პრინციპი არის უმთავრესი წინამდებარე ნაშრომით მოცული საკითხების ანალიზის მიზნებისათვის განსაკუთრებით იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პრინციპი ადგენს შეღავათებს განვითარებადი სახელმწიფოებისათვის რაშიც სხვებს შორის ასევე მოიაზრება დამატებითი დროის განსაზღვრა კანონმდებლობისა და ეკონომიკის ვმო-ის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.⁵⁶

ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე - აღნიშნული პრინციპი თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობის ქვაკუთხედს წარმოადგენს და მოცემულია ვმო-ს ყველა

⁵² *ibid.*

⁵³ *ibid.*

⁵⁴ *ibid.*

⁵⁵ *ibid.*

⁵⁶ *ibid.*

ძირითად ხელშეკრულებაში. მისი მიზანია, თანაბარუფლებიანი ვაჭრობის უზრუნველყოფა და შეთანხმებული პირობების დაუყოვნებელი და უპირობო გავრცელება ყველა ხელშემკვრელ სახელმწიფოში წარმოებულ ან მისთვის მიკუთვნებულ მსგავს პროდუქტებზე/მომსახურებაზე.⁵⁷ აღნიშნული პრინციპი ასევე კრძალავს მსგავსი ადგილობრივი პროდუქციის/მომსახურების უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებას ვმო-ს სხვა წევრსახელმწიფოში წარმოებულ პროდუქცია/მომსახურებასთან შედარებით.⁵⁸

იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე ნაშრომი დიდწილად აკავშირებს, მომსახურებით ვაჭრობას სიღარიბის აღმოფხვრისა და ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან მომსახურების გამწვანება დროებითი მიგრაციისა და შრომითი უფლებების ნაწილში, განსაკუთრებით განვითარებადი სახელმწიფოების ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობიდან გამომდინარე უპრიანია მოკლედ შევხვით ასევე ამ ხელშეკრულების მიზნებს.

3. მომსახურებით ვაჭრობა სიღარიბის აღმოფხვრის გადასახედიდან

GATS-ის პრეამბულა ხაზს უსვამს ვმო-ს წევრი სახელმწიფოების სურვილს მოახდინონ მომსახურებით ვაჭრობის განვითარება გამჭვირვალებისა და პროგრესული ლიბერალიზაციის პირობებში გლობალური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისა და განვითარებადი სახელმწიფოების ინტერესების გათვალისწინების მიზნებისათვის მომსახურებით ვაჭრობაში მათივე მონაწილეობის გააქტიურებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებით.⁵⁹

საინტერესოა, რომ თავად GATS-ის მაკონტროლებელი ორგანოს – მომსახურებით ვაჭრობის საბჭოს მიერ შემუშავებულ დოკუმენტში აღნიშნულია, “რომ

⁵⁷ General Agreement on Tariffs and Trade 1994, [შემდგომში – GATT, 1994], მუხლი I.

⁵⁸ GATT, 1994, მუხლი III,1.

⁵⁹ General Agreement on Trade in Services, 15.04.1994 http://www.wto.org/english/docs_e/legal_e/26-gats_01_e.htm, ნანახია: 15.04.2014.

განვითარებული სახელმწიფოებისათვის მომსახურებით ვაჭრობა სცდება წმინდა ეკონომიკურ მნიშვნელობას იმ როლის გათვალისწინებით, რასაც მომსახურება ასრულებს სოციალური განვითარების, სიღარიბესთან ბრძოლის, კეთილდღეობის ხელშეწყობის, ძირითად მომსახურების სახეებთან ხელმისაწვდომობისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით”.⁶⁰

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადია, თუ რამდენად სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება მომსახურების გაწევა/მიღებას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრისა ხელმწიფოებისათვის და თუ რამდენად მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებაა GATS-ი. არავინ დავობს იმაზე, რომ მომსახურებას, მართლაც, შეუძლია სახელმწიფოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების წახალისება და, ამავე დროს, მუშახელის სტიმულირება, რათა დღითიდღე განვითაროს პროფესიული უნარ-ჩვევები, მით უმეტეს, რომ GATS-ი იძლევა ფიზიკურ პირთა თავისუფალი გადაადგილების უფლებას გარკვეული შეზღუდვებით, რაც ნაშრომის შესაბამის თავებში იქნება დაწვრილებით განხილული.

4. GATS-ის ფარგლებში არსებული უფლებები და ვალდებულებები

ფაქტორი, რომელიც GATS-ს გამოარჩევს ვმო-ის ფარგლებში არსებული სხვა მრავალმხრივი ხელშეკრულებებისგან, არის ის, რომ მისი მე-4 ნაწილის ეკონომიკური გავლენის შეფასება არის რთული, რადგან თავად განმარტებები და მისი შეფასების ინსტრუმენტები ცალსახად ცხადი არ არის. შესაბამისად, GATS-ის

⁶⁰ Modalities for the Special Treatment for Least-Developed Country Members in the Negotiations on Trade in Services, Adopted by the Special Session of the Council for Trade in Services on 3 September 2003, World Trade Organisation - TN/S/13, 5 September 2003. ციტ.: ნ. ფარსადანიშვილი, “საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით”, სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 39.

მე-4 ნაწილი, გარკვეულწილად, იწვევს შიშს შეუცნობლის მიმართ.⁶¹ სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით შეუძლიათ ვმო-ის წევრ სახელმწიფოებს, დააწესონ გარკვეული შეზღუდვები მომსახურების სფეროებზე და ვმო-ს წარუდგინონ ის გრაფიკები, რომლებშიც გათვალისწინებულია საკუთარი სუვერენიტეტისა თუ ეკონომიკის დაცვის სტანდარტები, თუმცა ერთი რამ ცხადია: მიუხედავად შეზღუდვებისა, მაინც რჩება მომსახურებათა საკმაოდ ფართო სპექტრი იმისათვის, რომ წევრმა სახელმწიფოებმა შეძლონ მომსახურებათა ურთიერთგაცვლა და ამ გზით დოვლათის დაგროვება.⁶²

GATS-ი ფარავს ყველა ტიპის მომსახურებას, სამთავრობო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში შემავალი მომსახურების გარდა.⁶³ GATS-ი, ძირითადად, მოიცავს ე.წ. "ოთხი რეჟიმის" მომსახურებას, ესენია: 1) საზღვრებსშორისი მომსახურება (მომსახურებები, რომლებიც მიწოდებულია ფაქსიმილეთი, ელ. ფოსტით, ტელეფონით და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით); 2) მომსახურება, რომელიც გაწეულია იმ პირისათვის, რომელიც მიემგზავრება მომსახურების მიმწოდებლის ტერიტორიაზე (ტურიზმი); 3) მომსახურება, რომლის დროსაც მიმწოდებელი აფუძნებს მის ფინანსურ წარმომადგენლობას მიმღების ტერიტორიაზე (ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების ფილიალები); 4) მომსახურება, რომელსაც ფიზიკური პირი მომხმარებლის ტერიტორიაზე

⁶¹ Sands, O. 'Temporary Movement of Labor Fuels GATS Debate', <http://www.migrationpolicy.org/article/temporary-movement-labor-fuels-gats-debate>, (2004), (ნანახია: 11.12.2013), იხილეთ ასევე: Aaditya Mattoo, Robert M. Stern, and Gianni Zanini, A Handbook of International Trade in Services, (Oxford University Press 2008), გვ. 49. იხ. ასევე ნ. ფარსადანიშვილი, "საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით", სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015) გვ. 41.

⁶² მაგალითისათვის გთხოვთ, იხილოთ ვმო-ის ფარგლებში დაცული ინფორმაცია სახელმწიფოთა მიერ შემუშავებული გრაფიკების შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგი ბმულის გამოყენებით: http://wto.org/english/tratop_e/serv_e/serv_commitments_e.htm, (ნანახია: 12/03/2014). იხ. ასევე ნ. ფარსადანიშვილი, "საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით", სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015) გვ. 41.

⁶³ General Agreement on Trade in Services, Arts. I and XIII, იხ. ასევე: Matsushita, M. Schoenbaum T. J., Marvoldis, P. C. The World Trade Organization Law, Practice, and Policy, (Oxford University Press 2008), გვ. 228-229.

დროებითი გამგზავრებით აწვდის მომხმარებელს (ადვოკატი, თარჯიმანი, ლექტორი და ა.შ.).⁶⁴

GATS-ის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მომსახურებაში მოიაზრება ნებისმიერი მომსახურება, გაწეული ნებისმიერ სექტორში (გარდა საჯარო სამსახურისა), მაგრამ აღნიშნული შეთანხმება არ განმარტავს, უშუალოდ თუ რას გულისხმობს მომსახურება.⁶⁵

GATS-ის ერთ-ერთ მთავარ სისუსტედ სპეციალურ ლიტერატურაში მიიჩნევა სწორედ ტერმინთა განმარტების არარსებობა, კერძოდ, არ არის განმარტებული, თუ რას გულისხმობს "დროებითი გადაადგილება" და ცალსახად გაუცხადებელი განსხვავება მომსახურების გამწევთა და შრომით მიგრანტებს შორის.⁶⁶

ერთი რამ ცხადია: GATS-ის მიერ შემოთავაზებული ფიზიკურ პირთა მოკლევადიანი გადაადგილება ითვლება საკვანძო მნიშვნელობის მოვლენად განვითარებადი სახელმწიფოებისათვის იმის საჩვენებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანნი არიან ისინი სერვისების მიწოდების თვალსაზრისით. GATS-ის მე-4 ნაწილის არსებობა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მის ფარგლებში ფიზიკურ პირთა თავისუფალი გადაადგილება შესაძლებელია წევრ სახელმწიფოში წარმომადგენლობის დაფუძნების გარეშე.⁶⁷

GATS-ის შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს ძალუბთ, სამართლებრივად სავალდებულო შესასრულებელი ვალდებულებების იმის მიხედვით გარდაქმნა, როგორი საჭიროებებიც აქვთ მათ სხვადასხვა სერვისის სექტორში. შესაბამისად,

⁶⁴ General Agreement on Trade in Services, Art. I:2. იხ. ასევე: Matsushita, M. Schoenbaum T. J., Marvoidis, P. C. (2008) *The World Trade Organization Law, Practice, and Policy*, გვ. 229. იხ. ასევე ნ. ფარსადანიშვილი, "საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით", სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015) გვ.42.

⁶⁵ ნ. ფარსადანიშვილი, "საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით", სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015)- გვ. 41.

⁶⁶ Ghosh, B. (2007), *Managing Migration: Whither the Missing Regime? How Relevant is Trade Law to Such a Regime?*, *Proceedings of the Annual Meeting (American Society of International Law)*, Vol. 101, გვ. 305. ნ. ფარსადანიშვილი, "საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით", სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 42.

⁶⁷ ნ. ფარსადანიშვილი, "საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით", სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015) გვ. 43.

სახეზეა ისეთი შემთხვევა, როდესაც წევრ სახელმწიფოს აქვს ფართო შესაძლებლობა, მოარგოს საკუთარი საჭიროებები იმ დღის წესრიგს, რომელსაც ის წარუდგენს ვმო-ს და დაისახავს სავალდებულოდ შესასრულებლად. წევრ სახელმწიფოთა ეს საჭიროებები ასახულია ვმო-ის წინაშე წარდგენილ სამოქმედო გრაფიკებში.⁶⁸

გრაფიკების მთავარი ფუნქციაა, წევრმა სახელმწიფომ დააკონკრეტოს, თუ რომელი ვალდებულებების შესრულება შეუძლია **ბაზარზე დაშვებასა და ეროვნულ მოპყრობასთან** დაკავშირებით. ბაზარზე დაშვება ნიშნავს იმას, რომ წევრ სახელმწიფოს ეკრძალება GATS-ის XVI მუხლით გათვალისწინებული ექვსი სახის შეზღუდვის გავრცელება, კერძოდ:

- შეზღუდვები, დაწესებული მომსახურების გამწევთა რაოდენობაზე, განურჩევლად იმისა, იქნება ეს რაოდენობრივი კვოტები, მონოპოლიები, ექსკლუზიური სერვისის მიმწოდებლები თუ ეკონომიკური საჭიროებების ტესტი;

- შეზღუდვები მომსახურების ღირებულების ან მისგან მიღებულ შემოსავლებზე;

- შეზღუდვები მომსახურებითი ოპერაციების საერთო რაოდენობაზე;

- შეზღუდვები მომსახურების სფეროში დასაქმებულ ან ფიზიკურ პირთა საერთო რაოდენობაზე, როგორც რაოდენობრივი კვოტების, ასევე ეკონომიკური საჭიროებების ტესტების მოთხოვნების შესაბამისად;

- იკრძალება ისეთი ზომების მიღება, რომლებიც ზღუდავს ან ითხოვს გარკვეული ტიპის კომპანიის არსებობას საიმისოდ, რათა მოხდეს მომსახურების გაწევა;

- შეზღუდვები უცხო კაპიტალსა და ინვესტიციებზე.⁶⁹

⁶⁸ Mattoo, A. Carzaniga, A., *Moving People to Deliver Services*, (Oxford University Press 2003), გვ. 21.

⁶⁹ General Agreement on Trade in Services, art. XVI. ნ. ფარსადანიშვილი, "საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით", სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 43.

გრაფიკებში მოცემულ მომსახურების სექტორებში გაწერილი მომსახურებებისა თუ მომსახურების გამწევთა კატეგორიებზე დაუშვებელია იმაზე განსხვავებული მოპყრობა, ვიდრე ეს ხდება საკუთარი მომსახურებებისა თუ მომსახურების გამწევთა მიმართ.⁷⁰

წვერი სახელმწიფოს ქმედება ჩაითვლება GATS-ის XVII მუხლთან შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ ის სხვა წვერი სახელმწიფოდან მომავალ მომსახურებასა და მომსახურების გამწევზე ავრცელებს ფორმალურად იდენტურ ან ფორმალურად განსხვავებულ მოპყრობას იმასთან შედარებით, რასაც ის ავრცელებს საკუთარ მომსახურებასა თუ მომსახურების გამწევებზე.⁷¹

ფორმალურად იდენტური ან ფორმალურად განსხვავებული მოპყრობა მაშინ არის GATS-ის მოთხოვნებთან შეუსაბამო, როდესაც ის ქმნის არათანაბარი კონკურენციის პირობებს ეროვნულ და უცხოურ მომსახურებასა თუ მომსახურების გამწევზე.⁷²

აღნიშნულთან დაკავშირებით თავს იჩენს უპირატესი მოპყრობის პრინციპი, რაც ასერიგად მნიშვნელოვანია GATS-ის ფარგლებში წვერ სახელმწიფოთა უფლება-ვალდებულებების განსაზღვრის თვალსაზრისით. საგულისხმოა, რომ GATS-ის მე-2 მუხლის შესაბამისად, თითოეული წვერი სახელმწიფო ვალდებულია, გაავრცელოს ყველა სხვა წვერი სახელმწიფოდან მომავალ მომსახურებაზე თანაბარი მოპყრობის რეჟიმი.⁷³ სახელმწიფოები უფლებამოსილნი არიან, აღნიშნული პრინციპი დააზუსტონ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წინაშე წარდგენილ ვალდებულებათა გრაფიკებში.⁷⁴

⁷⁰ ნ. ფარსადანიშვილი, “საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით”, სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 43.

⁷¹ ნ. ფარსადანიშვილი, “საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით”, სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 43.

⁷² *ibid.* art. XVII. ა ასევე ნ. ფარსადანიშვილი, “საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით”, სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 44.

⁷³ Lester, S. Mercurio, B., *World Trade Law*, (Hurt Publishing 2008), გვ. 604.

⁷⁴ ნ. ფარსადანიშვილი, “საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით”, სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 44.

GATS-ის პირველი მუხლის მეორე ნაწილის დ ქვეპუნქტი აზუსტებს, რომ მომსახურების გაწევა შესაძლებელია მოხდეს ერთ წევრ სახელმწიფოში მეორე წევრი სახელმწიფოდან მომავალი ფიზიკური პირის მიერ. ამ ხელშეკრულების დანართი აზუსტებს და გამოყოფს მომსახურების მიწოდებელთა ორ კატეგორიას: წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი ფიზიკური/იურიდიული პირი და წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი ფიზიკური პირი, რომელიც დაქირავებულია სხვა წევრი სახელმწიფოს სერვისის მიწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდების მიზნებისათვის.⁷⁵

კიდევ ერთი საგულისხმო პრინციპი, რომელიც გაცხადებულია GATS-ის ფარგლებში, არის გამჭვირვალება. ამ პრინციპს ეთმობა GATS-ის მე-3 მუხლი, სადაც ხაზგასმულია, რომ წევრი სახელმწიფო ვალდებულია, გამოაქვეყნოს ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც დადებულია ვმო-ის მიღმა და რომელსაც შესაძლოა, გავლენა ჰქონდეს მომსახურებით ვაჭრობაზე.⁷⁶

შიდა რეგულაციები, - ეგრეთ წოდებული ეროვნული მოპყრობა, რომელიც GATS-ის მე-6 მუხლშია გაცხადებული, - ავალდებულებს სახელმწიფოებს, მომსახურებით ვაჭრობის მარეგულირებელი ნორმების შემუშავებისას ეროვნულ დონეზე მიმართონ გონივრულ, გამჭვირვალე და მიუკერძოებელ მიდგომას.⁷⁷

IV. გაეროს მიერ აღიარებული ვმო-ს მნიშვნელობა სიღარიბის დაძლევის მიმართულებით

ვაჭრობის მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში არ არის ახალი ფენომენი, მაგრამ ძნელად თუ მოიძებნება სხვა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაცია ვმო-ს

⁷⁵ GATS, Annex on Movement of Natural Persons Supplying Services Under the Agreement, para.1. ნ. ფარსადანიშვილი, “საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით”, სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 44.

⁷⁶ supra note 68, გვ. 604, ა. ასევე; ნ. ფარსადანიშვილი, “საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით”, სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015) გვ. 44.

⁷⁷ Guzman, A. T., Pauwelyn, J. H. B., International Trade Law, (Aspen Publishers 2009), გვ. 567. დსერტო - გვ. 44.

გარდა, რომელიც ახერხებს გაეროს ფარგლებში მიღებულ დოკუმენტებში ასე აქტიურად მოხსენიებას. საინტერესოა იმაზე დაკვირვება, რომ წლების განმავლობაში გაერო სისტემატურად გამოკვეთდა და გამოკვეთს ვმო-ს მნიშვნელობას საერთაშორისო დონის სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარების საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ გაერო აღიარებს ვმო-ს მნიშვნელობას სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის წახალისების საკითხში იზადება კითხვა, რამდენად შესწევს ვმო-ს უნარი იმისა, რომ აქტიურად ჩაერიოს სიღარიბის დაძლევის საქმეში იმის პარალელურად, რომ მის ფარგლებში არსებობს გადაწყვეტილების მიღების მოლაპარაკებებზე დაყრდნობილი, კონსენსუსზე დაფუძნებული საკმაოდ რთული პროცედურა. აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად მნიშვნელოვანია გაეროს ფარგლებში მოქმედი იმ იურიდიული დოკუმენტების მიმოხილვა, რომლებიც ცალსახად გამოკვეთენ ვმო-ს როლს სიღარიბის დაძლევაში.

გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი ბუტროს ბუტროს გალი '21 საუკუნის დღისწერიგში' მიუთითებდა, ეკონომიკურ და სოციალურ სექტორებში გაეროს როლის ზრდის მნიშვნელობას საერთაშორისო თანამშრომლობისა და სოციალური განვითარების უფრო მეტად ხელშეწყობისათვის.⁷⁸ "ცხოვრების სტანდარტების ამაღლებაზე, დასაქმების შესაძლებლობების ზრდასა და სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესსა და განვითარებაზე"⁷⁹ ორიენტირებული გაერო, როგორც ჩანს ძალიან დაინტერესებულია ვმო-ს ამ პროცესში ჩართვით. რასაც ადასტურებს თუნდაც გაეროს ფარგლებში მიღებული სტოქჰოლმის დეკარაცია,⁸⁰ სახელწიფოთა ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების ქარტია,⁸¹ და ბრიუსელის

⁷⁸ Resolution Adopted by the General Assembly, A/RES/48/166, 17 February 1994, An Agenda for Development.

⁷⁹ UN Charter, Article 55.

⁸⁰ The United Nations Conference on the Human Environment, Stockholm, 5 - 16 June 1972, available at: <http://www.un-documents.net/unchedec.htm>; Principle 8 - Economic and social development is essential for ensuring a favorable living and working environment for man and for creating conditions on earth that are necessary for the improvement of the quality of life.

⁸¹ Charter of economic rights and duties of states, Preamble, GA Res. 3281(xxix), UN GAOR, 29th Sess., Supp. No. 31 (1974) 50, stating that: The promotion by the entire international community of the economic and social progress of all countries, especially developing countries.

დეკლარაცია მიუთითებენ რა იმაზე, რომ “გამჭირვალე, არადისკრიმინაციული და წესებზე დაფუძნებული მრავალმხრივი სავაჭრო სისტემა უმნიშვნელოვანესია გლობალიზაციის ყველა სარგებლის მისაღებად”.⁸² იგივე მიდგომა გაგრძელდა ვმო-ს გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ ჩატარებულ მონტერეის კონფერენციაზეც, სადაც მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სიღარიბის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ სავაჭრო შესაძლებლობების ეფექტური გამოყენებით.⁸³

ბრიუსელის დეკლარაცია ასევე საინტერესოა იმით, რომ ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს განვითარებად ქვეყნებს და მათ გაწევრიანებას ვმო-ში გამოკვეთს რა ამ ორგანიზაციის წამყვან როლს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების წარმართვასა და დოჰას განვითარების დღისწესრიგზე დაყრდნობით ვაჭრობისა და ეკონომიკური ზრდის გარდაქმნაში სიღარიბის დაძლევის სტრატეგიებად.⁸⁴

სიღარიბის აღმოფხვრის პოლიტიკასთან ვაჭრობის ბმის წარმოჩენის კვალდაკვალ გაერომ იპოვა ახალი მიდგომა, რომელმაც სხვა საკითხებს შორის, ვაჭრობა მომსახურების სფეროში დააკავშირა დასაქმებასთან და გამოკვეთა თავისუფალი ვაჭრობის მნიშვნელობა ამ საკითხთან მიმართებით.⁸⁵

მოვლენათა მსგავსი განვითარების ფონზე სიღარიბის აღმოფხვრა მოითხოვს განვითარებულ და განვითარებად სახელმწიფოთა საერთო თუმცა განსხვავებულ პასუხისმგებლობათა გათვალისწინებას. აღნიშნული ასევე გათვალისწინებულია გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში,⁸⁶ გაეროს წესდებაში, გაეროს

⁸² Brussels Declaration, Third United Nations Conference on the Least Developed Countries, Brussels, Belgium, 14-20 May 2001

⁸³ Report of the International Conference on Financing for Development, Monterrey, Mexico, 18-22 March 2002, is available on < <http://www.un.org/esa/ffd/monterrey/MonterreyConsensus.pdf>>, accessed 14 March 2018, pp. 6, 7, 11.

⁸⁴ Brussels Declaration, Third United Nations Conference on the Least Developed Countries, Brussels, Belgium, 14-20 May 2001

⁸⁵ Programme of Action adopted at the International Conference of Population and Development, Cairo, 5-13 September 1994, is available on < https://www.unfpa.org/sites/default/files/event-pdf/PoA_en.pdf > accessed 15 June 2018, pp. 18-19.

⁸⁶ Process of preparation of the Environmental Perspective to the Year 2000 and Beyond, Article 8. Para b., General Assembly, A/RES/38/161, 19December 1983, Meeting no. 102

ათასწლეულის დეკლარაციას⁸⁷ და განვითარებადი სახელმწიფოების განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებაზე⁸⁸ ფოკუსირებულ ნიუ დელის დეკლარაციაში,⁸⁹ ისევე როგორც 1992 წლის ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციაში გამოკვეთენ რა, რომ სიღარიბის აღმოფხვრა განვითარებადი ქვეყნების უმთავრესი პრიორიტეტია.⁹⁰ იგივე პოზიციაა დაფიქსირებული მოსახლეობისა და განვითარების სამოქმედო გეგმის განსახილველად კაიროში მოწვეული კონფერენციის შედეგებშიც, აღნიშნულია რა, რომ სახელმწიფოთა უმთავრესი ვალდებულებაა ცხოვრების სტანდარტების ზრდა და სიღარიბის აღმოფხვრა მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისად მსოფლიო კეთილდღეობის უზრუნველყოფად,⁹¹ სახელმწიფოთა საერთო და განსხვავებული ვალდებულებების გათვალისწინებით ყველა ერისათვის სოციალური პროგრესის თანაბარი შესაძლებლობის შესაქმნელად.⁹²

მომსახურების სფეროში განვითარებადი სახელმწიფოების მიმართ განსხვავებული მოპყრობის ამოქმედების აუცილებლობა, რომელიც სხვებს შორის ასევე მოიცავს ფიზიკურ პირთა დროებით მიგრაციას მომსახურების გაწევის მიზნით,⁹³ და ამ

⁸⁷ Millennium Declaration and Agenda 21. https://sustainabledevelopment.un.org/content/dsd/dsd_aofw_nsds/nsds_index.shtml - Millennium Declaration further underlines the readiness to create an environment at the national and global levels conducive to development and to the elimination of poverty giving special emphasis to the implementation of strategies to ensure the chance for young people everywhere for finding decent and productive work.

⁸⁸ ILA New Delhi Declaration of Principles of International Law Relating to Sustainable Development, 2 April 2002, The 70th Conference of the International Law Association, held in New Delhi, India, 2–6 April 2002, Principle 3.

⁸⁹ ILA New Delhi Declaration of Principles of International Law Relating to Sustainable Development, 2 April 2002, The 70th Conference of the International Law Association, held in New Delhi, India, 2–6 April 2002, Principle 2. (as an obligation for states which are in a position to do so to assist states in achieving the goal of poverty eradication)

⁹⁰ Convention on Biological Diversity, Rio de Janeiro, 5 June 1992, United Nations, Article, 20 para. 4, Available at: <https://www.cbd.int/doc/legal/cbd-en.pdf>

⁹¹ Programme of Action adopted at the International Conference of Population and Development, Cairo, 5-13 September 1994, is available on < https://www.unfpa.org/sites/default/files/event-pdf/PoA_en.pdf > accessed 15 June 2018, Principle 7.

⁹² Programme of Action adopted at the International Conference of Population and Development, Cairo, 5-13 September 1994, is available on < https://www.unfpa.org/sites/default/files/event-pdf/PoA_en.pdf > accessed 15 June 2018, Principle 15.

⁹³ Report of the International Conference on Financing for Development, Monterrey, Mexico, 18-22 March 2002, is available on < <http://www.un.org/esa/ffd/monterrey/MonterreyConsensus.pdf>>, accessed 14 March 2018, P. 7; Monterrey Consensus of the international conference on Financing for Development, The final text of agreements

პროცესში ვმო-ს უფრო მეტად გააქტიურების მნიშვნელობას საკმაოდ კარგად არის გამოკვეთილი გაეროს სისტემაში. ფართო კომპეტენციის მქონე გაეროს ადვილად შეუძლია ვმო-ს როლის მნიშვნელობის გამოკვეთა გლობალური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის საკითხში, მაგრამ თავად ვმო უფრო მეტად რთულ მდგომარეობაშია ამ მიმართულებით სწორედაც, რომ მის ფარგლებში არსებულ რთულ და მრავალწახნაგოვან მოლაპარაკებათა სისტემაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმიდან გამომდინარე. აღნიშნული საკითხი უფრო მეტი სიზუსტით არის მოცემული ნაშრომის შემდეგ ნაწილში გამოკვეთს რა ვმო-ს ფარგლებში წარმართულ უმნიშვნელოვანეს მოლაპარაკებათა ეტაპების მსვლელობას, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ მსოფლიო ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაში.

V. ვმო-ს ხედვა სიღარიბის აღოფხვრასთან დაკავშირებით

“ვმო არის ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აწესრიგებს ვაჭრობის წესებს მსოფლიო დონეზე”.⁹⁴ ვმო-ს დაარსების შემდეგ გაჩნდა საზოგადოებრივი მოლოდინი, რომ ორგანიზაციას ძალუძს “გააძლიეროს მსოფლიო ეკონომიკა და შექმნას უკეთესი პირობები მეტი ვაჭრობის, ინვესტიციების, დასაქმებისა და შემოსავლების გასაზრდელად მთელს მსოფლიოში”.⁹⁵ მაღალი მიზნებისა და მოლოდინების არსებობის მიუხედავად კითხვა კითხვად რჩება. როგორ უნდა იქნას მიღწეული მსოფლიოში სიღარიბის დაძლევა და მეტი კეთილდღეობის უზრუნველყოფა დღევანდელ სამყაროში? აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად ნაშრომის წინამდებარე ნაწილი მიმოიხილავს ვმო-ს ფარგლებში გამართულ იმ მინისტერიალის კონფერენციებს, რომელთაც განსაკუთრებული აქცენტი აქვთ მომსახურებით ვაჭრობაზე.

and commitments adopted at the International Conference of Financing for Development, Monterrey, Mexico, 18-22 March 2002, P.11-12.

⁹⁴ Azevêdo Underlines Growing Importance of Services in Global Trade, 17 October 2017, is available on <https://www.wto.org/english/news_e/spra_e/spra193_e.htm> accessed 23 August 2018.

⁹⁵ Marrakesh Declaration 1994, https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/marrakesh_decl_e.htm

დოქსას მინისტრიალის კონფერენციაზე აღნიშნა “საერთაშორისო ვაჭრობას შეუძლია უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება ეკონომიკური განვითარების წახალისებისა და სიღარიბის აღმოფხვრის მიმართულებით”.⁹⁶ ამ იდეით განსმკვალულმა დოქსას მინისტრიალის კონფერენციის მონაწილეებმა შემდგომ აღნიშნეს, რომ მომსახურებით ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებათა წარმოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ზრდის წასახალისებლად (განსაკუთრებით განვითარებადი სახელმწიფოებისთვის) და რომ წევრსახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილი წინადადებების (მეტწილად ფიზიკურ პირთა გადაადგილების უზრუნველსაყოფად) გათვალისწინება აუცილებელია.⁹⁷ დოქსას მინისტრიალის კონფერენციის მონაწილეებმა დაადასტურეს “წევრსახელმწიფოთა უფლება GATS-ის ფარგლებში მომსახურების გაწევის ახალი რეგულაციების შემოტანის”⁹⁸ შესახებ. დოქსას მინისტრიალის მიდგომა თითქმის უცვლელად დარჩა დღემდე. წევრსახელმწიფოთა უფლება, რომ მოახდინონ მომსახურებით ვაჭრობის რეგულირება შიდასახელმწიფოებრივი ნორმებით წარმოშობს უდიდეს პრობლემას სავაჭრო მოპალარაკებათა წარმოების პროცესში. აღნიშნული კარგად გამოჩნდა კანკუნის მინისტრიალის კონფერენციის შემაჯამებელ დოკუმენტებშიც სადაც აღნიშნულია, რომ “მიუხედავად მოლაპარაკებების წარმოებისას არსებული საკონსულტაციო პროგრესისა წევრსახელმწიფოები მაინც ვერ შეთანხმდნენ ე.წ. “სინგაპურის” საკითხებზე”.⁹⁹ წევრსახელმწიფოთა უფლება მომსახურებით ვაჭრობის მოწესრიგებასა და ამ პროცესში განვითარებადი სახელმწიფოების განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებასთან დაკავშირებით, იგივე პოზიცია დაფიქსირდა ასევე ჰონ კონგის მინისტრიალის კონფერენციაზეც.¹⁰⁰

⁹⁶ WTO doc. WT/MIN(01)/DEC/1.

⁹⁷ *ibid.* para 15.

⁹⁸ *ibid.* para 7.

⁹⁹ Fifth Ministerial Conference, Day 5 Ends without Consensus, 14 September 2003, is available on <https://www.wto.org/english/thewto_e/minist_e/min03_e/min03_e.htm> accessed 23 August 2018.

¹⁰⁰ WTO doc. WT/MIN(05)/DEC para. 25.

2011 წლის ქენევის მინისტრიალის კონფერენციამ GATS-ზე მითითებით განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო განვითარებადი სახელმწიფოებიდან მომავალი მომსახურებისა და მომსახურების გამწევთა მიმართ პრეფერენციული მოპყრობის რეჟიმის ამოქმედებას განსაკუთრებით მათი საექსპორტო ინტერესის სფეროში შემავალი მომსახურებისათვის ბაზრის გახსნის მიმართულებით (აღნიშნული პრეფერენციული რეჟიმი თანაბრად ეხებოდა ორივეს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს).¹⁰¹ საინტერესოა, რომ ქენევის მოლაპარაკებების შედეგად შეთანხმებული პრეფერენციების სისტემა არ გამოუყენებია არც ერთ სახელმწიფოს, რის გამოც ბალის 2013 წლის მინისტრიალის კონფერენციაზე აღნიშნული რეჟიმის ამოქმედების უზრუნვესაყოფად¹⁰² განსაზღვრულ იქნა ახალი ვადა რასაც წესით უნდა წახეხალისებინა წევრსახელმწიფოები.¹⁰³

ნაირობის მინისტრიალის კონფერენციაზე გადაწყდა, რა რომ მომსახურებით ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებათა წარმოებისას უმთავრეს პრიორიტეტად ქცეულიყო განვითარებადი სახელმწიფოების ინტერესები,¹⁰⁴ და იმის გათვალისწინებით, რომ საშეღავათო სისტემის ამოქმედების მხრივ 2011 წლიდან მოყოლებული არსებითი პროგრესი არ შეინიშნებოდა გადაწყვეტიდება იქნა მიღებული შეღავათიანი მოპყრობის რეჟიმის ვადის 2030 წლამდე გაგრძელების შესახებ.¹⁰⁵

ბუენოს აირესის მინისტრიალის კონფერენციამ სიღარიბის აღმოფხვრაში ვაჭრობის როლის გამოკვეთასთან ერთად,¹⁰⁶ ნათელი გახადა სავაჭრო მოლაპარაკებებში განსაკუთრებით მრავალრიცხოვან მონაწილეთა დაინტერესების ფაქტი. კონფერენციის მსვლელობისას აფრიკულ სახელმწიფოთა ჯგუფმა გამოთქვეს პოზიცია მომსახურებით ვაჭრობის სფეროში არსებული

¹⁰¹ WTO doc. WT/L/847.

¹⁰² WTO doc. WT/MIN(13)/DEC.

¹⁰³ WTO doc. WT/MIN(13)/43 WT/L/918.

¹⁰⁴ WTO doc. WT/MIN(15)/DEC para. 24.

¹⁰⁵ WTO doc. WT/MIN(15)/48 WT/L/982.

¹⁰⁶ WTO doc. WT/MIN(17)/55/Rev.1.

მოლაპარაკებების გარშემო და ხაზი გაუსვეს, რომ ამ პროცესში განვითარებადი სახელმწიფოების ინტერესების გათვალისწინება აუცილებელია განსაკუთრებით ფიზიკურ პირთა დროებითი მიგრაციის მიმართულებით.¹⁰⁷ სიღარიბის აღმოფხვრა სოციალური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის გზით გათვალისწინებულია აფრიკულ სახელმწიფოთა 2063 დღისწესრიგის ფარგლებში და შესაბამისად ისინი ითხოვენ, რომ ყველა პრივილეგია და პრეფერენცია რაც არის გათვალისწინებული ვმო-ს შესაბამისი რეგულაციებით სრულად გავრცელდეს მათზე.¹⁰⁸ აფრიკის უმთავრესი არგუმენტები ეფუძნებოდა იმ ფაქტს რომ “46 აფრიკული სახელმწიფოს მოსახლეობის 54% ჯერ კიდევ სიღარიბეში ცხოვრობს”¹⁰⁹ ხედავს რა ვაჭრობას, როგორც ხსნის უმთავრეს მექანიზმს. აღნიშნულ პოზიციას ასევე ამყარებს ინდოეთისა და მისი თანასპონსორების ინიციატივა მომსახურებით ვაჭრობის გამარტივების შესახებ ახალი ხელშეკრულების ტექსტზე სამუშაოდ მოლაპარაკებების დასაწყებად ვმო-ს წევრი განვითარებადი სახელმწიფოებისათვის მეოთხე რეჟიმის შეღავათების ამოქმედების უზრუნველსაყოფად.¹¹⁰

ბუნოს აირესის მინისტერიალის კონფერენციამ ცალსახად გამოკვეთა, რომ სავაჭრო მოლაპარაკებებს ყოველდღიურად ემატება უფრო და უფრო მეტი მონაწილე რაც საბოლოო ჯამში ძალიან ართულებს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს. როგორც ვმო-ს გენერალურმა დირექტორმა აღნიშნა “მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებები არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვიღებთ რაც გვსურს, არამედ მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებები ნიშნავს, რომ ჩვენ ვიღებთ იმას რისი მიღებაც არის შესაძლებელი”.¹¹¹

მომსახურებით ვაჭრობის სფეროში არსებული მოლაპარაკებები და წევრსახელმწიფოთა მცდელობა მიღწეულ იქნას ეკონომიკური ზრდის წახალისება

¹⁰⁷ WTO doc. WT/MIN(17)/8, JOB/GC/166 JOB/TNC/68, JOB/SERV/274.

¹⁰⁸ *ibid.*

¹⁰⁹ WTO doc. WT/MIN(17)/11, JOB/GC/167 JOB/TNC/69, JOB/AG/133 JOB/DEV/50, JOB/DS/24 JOB/IP/28, JOB/MA/133 JOB/RL/10, JOB/SERV/275 JOB/TE/48.

¹¹⁰ WTO doc. WT/MIN(17)/19, JOB/GC/168 JOB/TNC/70, JOB/SERV/276, WT/MIN(17)/7; WT/GC/190.

¹¹¹ WTO doc. WT/MIN(17)/74.

აუცილებელს ხდის შრომითი უფლებების დაცვის მნიშვნელობის წამოწევას, რასაც ეთმობა ნაშრომის შემდეგი ნაწილი.

VI. შრომისა და ვაჭრობის ურთიერთმიმართების მიმოხილვა სიღარიბის აღმოფხვრის პერსპექტივიდან

“ვმო-ს შეთანხმებებისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების განხილვა შეუძლებელია ერთმანეთისგან იზოლირებულად რადგან ქვეყნებმა უნდა შეასრულონ მათზე დაკისრებული ყველა საერთაშორისო ვალდებულება”.¹¹² აღნიშნული ასევე საინტერესოა დოჰას განვითარების დღისწესრიგის გადასახედიდანაც რომელიც ხაზს უსვამს, “სინგაპურის მინისტრიალის კონფერენციის შედეგებისადმი ერთგულებას საერთაშორისოდ აღიარებული შრომითი სტანდარტებისა და გლობალიზაციის სოციალური მიმართულების აღიარებისთვის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში მიმდინარე საქმიანობის შესახებ”.¹¹³

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეამბულა გამოკვეთს კავშირს საყოველთაო მშვიდობასა და სოციალურ სამართლიანობას შორის აღნიშნავს რა, რომ სოციალური უსამართლობა არღვევს ჰარმონიასა და სტაბილურობას მსოფლიოში.¹¹⁴ იგივე აზრია გაცხადებული ფილადელფიის დეკლარაციაშიც, როგორც დეკლარაციის ტექსტშია აღნიშნული “სიღარიბე საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს ის წარმოადგენს საფრთხეს კეთილდღეობისათვის მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში”.¹¹⁵ ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ასევე ვმო-ს

¹¹² The WTO and International Labour Organization, is available on <https://www.wto.org/english/thewto_e/coher_e/wto_ilo_e.htm> accessed 23 August 2018; Steve Charnovitz, “The (Neglected) Employment Dimension of the World Trade Organization”, (2006) NO. 131, George Washington University Law School, p. 1.

¹¹³ WTO doc. WT/MIN(01)/DEC/1, para 8.

¹¹⁴ ILO Constitution, Preamble, http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:62:0::NO:62:P62_LIST_ENTRIE_ID:2453907:NO#declaration

¹¹⁵ Declaration concerning the aims and purposes of the International Labour Organisation (DECLARATION OF PHILADELPHIA), is available on <http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:62:0::NO:62:P62_LIST_ENTRIE_ID:2453907:NO#declaration> accessed 23 August 2018, Art. I.

ყოფილი გენერალური დირექტორის მაიკ მურის სიტყვები, კერძოდ: “სიღარიბე ნებისმიერი ფორმით წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს მშვიდობის, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის წინააღმდეგ. მაგრამ ის შეიძლება დაძლეულ იქნას და ჩვენ გვაქვს მექანიზმები ამის გასაკეთებლად. ერთერთი ასეთი მექანიზმი არის ვაჭრობის ლიბერალიზაცია”.¹¹⁶ აშკარაა, რომ ოფიციალურად და არა ფორმალურად შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და ვმო თანხმდებიან სიღარიბის აღმოფხვრის მნიშვნელოვან კომპონენტებზე, თუმცა ვმო-ს პრაქტიკა სულ სხვა მიმართულებით ვითარდება.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონფერენციამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ხანგრძლივადიანი მშვიდობის უზრუნველყოფა შესაძლებელია, მხოლოდ სოციალური სამართლიანობით და იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ამ ფუნდამენტური ობიექტის ხელყოფა, ნებისმიერი ეკონომიკური და ფინანსური საზომი, რომელიც გაწერილია ეროვნულ და საერთაშორისო პოლიტიკაში ‘უნდა შეფასდეს ამ გადასახედიდან’.¹¹⁷

სოციალური სამართლიანობის შესახებ – შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონფერენციაზე მიღებული დეკლარაცია გამოკვეთს სოციალური უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის მნიშვნელობას სოციალური და ეკონომიკური ცვლილებებით გამოწვეული პროცესების მიმდინარეობისას,¹¹⁸ ხოლო მისი დანართი ფოკუსირდება სიღარიბის აღმოფხვრასა და მდგრად განვითარებაზე გლობალურ ეკონომიკაში.¹¹⁹

¹¹⁶ Democracy, development and the WTO, Statement by Mike Moore, is available on <https://www.wto.org/english/news_e/spmm_e/spmm82_e.htm>, accessed 23 August 2018; also cit. in: Report of the International Conference on Financing for Development, Monterrey, Mexico, 18-22 March 2002, is available on <<http://www.un.org/esa/ffd/monterrey/MonterreyConsensus.pdf>>, accessed 14 March 2018, P. 89.

¹¹⁷ Declaration concerning the aims and purposes of the International Labour Organisation (DECLARATION OF PHILADELPHIA), is available on <http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:62:0::NO:62:P62_LIST_ENTRIE_ID:2453907:NO#declaration>, accessed 23 August 2018, Art. II.

¹¹⁸ Declaration on Social Justice for fair Globalization, Art. I. Adopted by the International Labour Conference at its Ninety-seventh Session, Geneva, 10 June 2008.

¹¹⁹ Annex follow-up to the Declaration Social Justice for fair Globalization, Art. II.D. Adopted by the International Labour Conference at its Ninety-seventh Session, Geneva, 10 June 2008. See also: ILO Convention No. 183 Convention concerning the Revision of the Maternity Protection Convention (Revised), 1952, Art. 7. ILO Constitution, Art. 19. Para 3.

ამ გადასახედიდან საინტერესოა ვმო-ს პოზიცია, კერძოდ ის აღიარებს, რომ წევრსახელმწიფოთა შორის არსებული ურთიერთობები ვაჭრობისა და ეკონომიკის განვითარების მიმართულებით უნდა ფოკუსირდებოდეს “ცხოვრების სტანდარტების ამაღლებაზე, დასაქმებულობის უზრუნველყოფასა და საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის წარმართვაზე ისე, რომ გათვალისწინებულ იქნას მდგრადი განვითარების მიზნები”.¹²⁰ მარაკეშის შეთანხმება დამატებით გამოკვეთს, განვითარებადი სახელმწიფოების ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობას ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავებისას.¹²¹ ანალოგიური პოზიციაა გაცხადებული GATS –ის ტექსტშიც, კერძოდ “განვითარებადი სახელმწიფოების გაზრდილი მონაწილეობის ხელშეწყობა მომსახურებით ვაჭრობის სფეროში, მათივე მომსახურებითი ექსპორტის გასაზრდელად, რაც სხვათა შორის ასევე მოიცავს შიდა მომსახურებითი შესაძლებლობების გაძლიერებასა და მათი ეფექტურობისა და შეჯიბრებითობის ამაღლებას”.¹²²

გაეროს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ვმო-ს პოზიციების ანალიზის ფონზე იბადება კითხვა, თუ როგორ შეძლებს ვმო სიღარიბის დაძლევის მომსახურებით ვაჭრობის გაფართოებისა და ამ პროცესში განვითარებადი სახელმწიფოების მონაწილეობის გაზრდით, მაშინ როდესაც მისსავე სისტემაში არსებობს აქტიური წინააღმდეგობა სოციალური მუხლის ორგანიზაციის ყოველდღიურ დღისწესრიგში შემოტანასთან დაკავშირებით განსაკუთრებით კი GATS-ის სამოქმედო არეალთან მიმართებით მიუხედავად იმისა, რომ თავად მარაკეშის შეთანხმება, რომლის დანართიც არის GATS-ი მოწოდებულია დასაქმების უზრუნველყოფისა და ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

საყოველთაოდ აღიარებული რეალობიდან გამომდინარე ვმო არის ვაჭრობაზე ორიენტირებული ორგანიზაცია და შესაბამისად ვაჭრობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი ხვდება მისი კომპეტენციის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ

¹²⁰ Marrakesh Agreement, Preamble.

¹²¹ Marrakesh Agreement, Preamble.

¹²² GATS, Preamble.

ორგანიზაციას, აქვს სავალდებულო იურისდიქცია და საკმარისი მექანიზმები მის მიერვე დადგენილი ნორმების აღსრულებისთვის,¹²³ კითხვა რჩება კითხვად არის კი ორგანიზაცია მზად, რომ მის ისედაც რთულ, მგრძობიარე და დელიკატურ სავაჭრო მოლაპარაკებებზე დაფუძნებულ დღისწესრიგს დაუმატოს ახალი 'თავის ტკივილი'?¹²⁴ როგორც თავად ორგანიზაციის პრაქტიკა მეტყველებს, განსაკუთრებით სინგაპურის 1996 წლის მინისტრიალის კონფერენციის შედეგებით ცხადი ხდება ორგანიზაციის პოზიცია, რომ "შრომასთან დაკავშირებული საკითხები მიეკუთვნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და არა ვმო-ს კომპეტენციის სფეროს და შესაბამისად საკითხები რომლებიც აკავშირებს შრომას და ვაჭრობას ერთმანეთთან ხვდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დღისწესრიგში".¹²⁵

შრომითი უფლებების და კერძოდ სოციალური მუხლის ვმო-ს დღისწესრიგში შეყვანის იდეა გაჩნდა ასევე სიეტლის მინისტრიალის კონფერენციაზე 1999 წელს, რომლის მიმდინარეობისასაც ვმო-ს წევრისახელმწიფოები განიხილავდნენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ვმო-ს ერთობლივი სამუშაო ფორუმის შექმნის საკითხებს განვითარების, სოციალური და გარემოსდაცვითი თემების გარშემო დისკუსიის წარსამართავად რათა უკეთ მომხდარიყო გლობალიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში ყოფნა, მაგრამ ვმო-ს ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს, განსაკუთრებით სამხრეთული სახელმწიფოების, მხრიდან მომავალი წინააღმდეგობების გათვალისწინებით აღნიშნულ საკითხზე არ იქნა მიღებული მინისტრიალის კონფერენციის დეკლარაცია და შესაბამისად სამუშაო ჯგუფის შექმნის საკითხი გაურკვეველი დარჩა.¹²⁶

¹²³ For more information about the *erga omnes* nature of WTO Law please see: The WTO Sanctions Regime and International Constitutional Political Economy - Comments on the Paper 'The Case against Reforming the WTO's Sanctions Regime' by Jide Nzelibe - *Christian Tietje*, p.4 - "one may argue that at least the core obligations of WTO law constitute obligations *erga omnes*".

¹²⁴ Nino Parsadanishvili, 'Poverty Eradication – Controversies between UN and WTO' (2018) vol. 4 Check Yearbook of Public and Private International Law, at p. 344.

iBronstein, *International and Comparative Labour Law* (ILO 2009) p. 95; WTO doc. WT/MIN(96)/DEC.

¹²⁶ International Trade and Core Labour Standards, Policy Brief, October 2000, is available on <<http://www.oecd.org/tad/1917944.pdf>> accessed 20 February 2015.

ერთი შეხედვით იმაში გასაკვირი არაფერია, რომ სოციალური მუხლის და განსაკუთრებით შრომითი უფლებების თემა მთლიანად იქნა დელეგირებული სპეციალური კომპეტენციის მქონე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისთვის, მაგრამ ეს ყველაფერი ბადებს უმთავრეს კითხვას, თუ რამდენად არის შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია უნარიანი, რომ სახელმწიფოებს შეასრულებინოს შრომითი სტანდარტებიდან გამომდინარე არსებული და ნაკისრი ვალდებულებები? შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში მიღებული კონვენციების წევრსახელმწიფოთა მხრიდან რატიფიცირების არასავალდებულოობა და ორგანიზაციის საზედამხედველო ორგანოს რეკომენდაციების სისუსტე ცხადად წარმოაჩენს აუცილებლობას იმისა, რომ შრომის სტანდარტები გათვალისწინებულ იქნას ეკონომიკურ შეთანხმებებში,¹²⁷ რაც როგორც ვმო-ს მაგალითზეც კარგად გამოჩნდა ჯერ კიდევ წარუმატებელ მცდელობად რჩება.

აღნიშნული საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე ნაშრომის შემდეგი თავი ეთმობა კავშირს შრომისა და მომსახურების განმარტებებს შორის და წარმოაჩენს განსხვავებულ მიდგომას შრომის სტანდარტების მსოფლიო სავაჭრო სისტემაში არსებობა არ არსებობის გადასახედიდან.

1. შრომითი უფლებები GATS-ის სისტემაში

თავად ის ფაქტი რომ GATS-სი (მე-4 რეჟიმი) ითვალისწინებს ფიზიკურ პირთა დროებითი მიგრაციის შესაძლებლობას მომსახურებით ვაჭრობის მიზნებისათვის და საკუთარ იურისდიქციას ავრცელებს ამაზე უდაოდ მნიშვნელოვანია ვმო-ს წევრსახელმწიფოთა ეკონომიკური ზრდის წასახალისებლად და განვითარებადი სახელმწიფოების ეკონომიკური სარგებლის უზრუნველსაყოფად. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენს ის, რომ არც ვმო-ს ტერმინთა

¹²⁷Daoudi M.S. and Dajani M.S., *Economic Sanctions: Ideals and Experience*, (London) Routledge and Kegan Paul, 1983, cit.: Servais Jean-Michel, *International Labour Law*, 3rd ed. p. 37.

განმარტებითი ლექსიკონი და არც თავად GATS–სი არ განმარტავენ თუ რა არის მომსახურება.

GATS–ის შესაბამისად ის ვრცელდება, ნებისმიერ მომსახურებაზე, გარდა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას გაწეული მომსახურებისა და ისეთი მომსახურებისა რომელიც კომერციულ მოგებასა და სხვა მომწოდებლებთან შეჯიბრობითობას ეფუძნება.¹²⁸ რაც შეეხება GATS–ით გათვალისწინებულ მეორე გამონაკლისს ეს არის მომსახურება, რომელიც უკავშირდება საჰაერო გადაზიდვების დროს წარმოშობილ უფლებებს და მომსახურებას, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს ასეთი უფლებებიდან, როგორც ეს მითითებულია საჰაერო სატრანსპორტო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში.¹²⁹

GATS–ის ტექსტში მომსახურების მიმართ არსებული ასეთი ზოგადი ფორმულირება იძლევა უფრო მეტ შესაძლებლობას მომსახურებასა და შრომას შორის არსებული კავშირების დასადასტურებლად არგუმენტების მოსაძიებლად.

უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ წინამდებარე ნაშრომი ფოკუსირდება მომსახურებასა და შრომას შორის განმარტებითი მსგავსების ძიებაზე ის არის, რომ ამ ორ ცნებას ბევრი საერთო მახასიათებელი აქვს.

როგორც აღინიშნა ვმო–ს ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის დღეს არსებულ ვარიანტში არ არსებობს მომსახურების განმარტება, მაგრამ ლექსიკონის ტექსტის იმ სამუშაო ვარიანტში, რომელიც ურუგვაის რაუნდის სავაჭრო მოლაპარაკებათა მონაწილე სახელმწიფოთა პოზიციას გამოხატავს მომსახურების განმარტებასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: “მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა არის

¹²⁸ GATS, Art. 1.3 (b,c).

¹²⁹ ‘The General Agreement on Trade in Services (GATS): objectives, coverage and disciplines’ <http://www.wto.org/english/tratop_e/serv_e/gatsqa_e.htm>, accessed 17.02.2015; For the examples of services meant under GATS see also: Lester, S., Mercurio, B., Davies A., Leitner K., (2008) *World Trade Law Text Materials and Commentary*, p. 602. General Agreement of Trade in Services (15 April 1994), (entered into force 1 January 1995), Art. 1:3(b) <https://www.law.ox.ac.uk/sites/files/oxlaw/oscola_2006.pdf>.

ნებისმიერი მომსახურება ან შრომითი საქმიანობა საერთაშორისო დონეზე იმ მიზნით რომ დააკმაყოფილოს მიმღების/მომხმარებლის მოთხოვნები”.¹³⁰

ამავე ლექსიკონის შესაბამისად მომსახურებით ვაჭრობა ნიშნავს საერთაშორისო ვაჭრობას რომელიც საჭიროებს ბაზართან ეფექტურ წვდომას, რაც სხვათა შორის ასევე გამოიხატება ფიზიკურ პირთა დროებით მიგრაციაში.¹³¹

წინამდებარე ნაშრომის მიზნებისათვის ასევე მნიშვნელოვანია ბლოკის სამართლის ლექსიკონის შესაბამისი განმარტების ნახვა, კერძოდ: “მომსახურება ნიშნავს ადამიანური ძალისხმევის გაწევას შრომით ან რჩევით”.¹³²

ამ მსჯელობის გასაგრძელებლად ასევე საინტერესოა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული განმარტების გაანალიზებაც, კერძოდ: დასაქმებულ ადამიანად ითვლება პირი, რომელიც იმყოფება სახელფასო ან თვითდასაქმების პირობებში და რომელიც სხვათა შორის ასევე ახორციელებს მომსახურებას საწარმოსა და ბიზნეს სექტორისათვის სამუშაო ადგილას ან მისგან მოშორებით.¹³³

იგივე აზრია დაფიქსირებული უცხოელთა დასაქმებისა და სამსახურის შესახებ მონტენეგროს კანონში, სადაც აღნიშნულია, რომ: “მუშაობა ნიშნავს მომსახურების გაწევას ან შრომის სხვა ფორმებს რომელიც ხორციელდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე”.¹³⁴

როგორც შესაბამისი წყაროების ანალიზიდან ირკვევა, თეორიული განსხვავება მომსახურებასა და შრომას შორის არ არსებობს მიუხედავად იმისა, რომ **GATS**-სი განსხვავებს ამ ორ მოცემულობას ერთმანეთისგან და აღნიშნავს, რომ შეთანხმება

¹³⁰ Multilateral Trade Negotiations – Uruguay Round, Draft Glossary of Terms, Group of Negotiations on Services, 8 July 1988, MTN. GNS/W/43, is available on <http://www.wto.org/gatt_docs/English/SULPDF/92050117.pdf> accessed 17/02/2015.

¹³¹ Ibid.

¹³² Garner Bryan A. Black’s Law Dictionary, 8th edition, for the definition of labour please see the p. 890, for the definition of service please see p. 1399.

¹³³ International Labour Organization (ILO) Resolutions Concerning Economically Active Population, Employment, Unemployment and Underemployment Adopted by the 13th International Conference of Labour Statisticians, October 1982, para. 9, is available on <<https://stats.oecd.org/glossary/detail.asp?ID=778>> accessed 16.02.2015.

¹³⁴ Law on Employment and Work of Aliens, Proposal, Montenegro, Article 5, is available on <https://www.wto.org/english/thewto_e/acc_e/cgr_e/WTACCCGR27A3_LEG_8.pdf>, accessed 25 May 2018.

არ ვრცელდება ფიზიკურ პირთა დაშვებაზე წევრსახელწიფოთა შრომით ბაზარზე, ისევე როგორც მოქალაქეობის, ცხოვრებისა და ხანგრძლივ ვადიანი დასაქმების შესაძლებლობებზე.¹³⁵

მიუხედავად იმისა, რომ GATS–სი განასხვავებს მომსახურებას და შრომას ერთი რამ ცხადი ხდება ვმო–ს ფარგლებში სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებების შემდგომი წარმართვა/განვითარების პირობებში აქტიური დისკუსია ამ მიმართულებით კვლავ გაგრძელდება და ადრე თუ გვიან ვმო–ს დავების განმხილველ ორგანოს მოუწევს აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული ასევე გამომდინარეობს სახელშეკრულებო ტექსტების განმარტების პრაქტიკიდან, რომელიც მიუთითებს, რომ ტერმინის მნიშვნელობა დროთაგანმავლობაში იცვლება და თუ ტერმინს აღარ აქვს ის მნიშვნელობა რაც მას ქონდა ხელშეკრულების დადების მომენტში, განმარტება უნდა მოხდეს იმ მნიშვნელობის გათვალისწინებით, რაც ტერმინს აქვს შეძენილი მისი გამოყენების მომენტისათვის.¹³⁶ აღნიშნული განსაკუთრებით კარგად ჩანს გრძელვადიანი მოქმედების ხელშეკრულებების შემთხვევაში¹³⁷ ისეთების, როგორც არის GATS–სი. ამგვარი მსჯელობის სისწორეს ასევე ადასტურებს ინდოეთსა და ა.შ.შ.–ს შორის არსებული დავა დროებითი სამუშაო ვიზის საკითხთან დაკავშირებით,¹³⁸ მართალია აღნიშნულ საქმეში უფრო ტექნიკური დეტალები წარმოჩინდა სადაო საკითხების განხილვის მიზნებისათვის, მაგრამ ეს აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ვმო–ს წევრსახელმწიფოებში უკვე არსებობს ინტერესი დროებითი მიგრაციის ორგანიზაციის სისტემაშივე არსებული მექანიზმების გამოსაყენებლად.

მიგრაციის მართვაში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის როლის უკეთ გასაგებად ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალური საკითხებისადმი ვმო–ის წევრ

¹³⁵ GATS, Annex on Movement of Natural Persons Supplying Services Under the Agreement <http://www.wto.org/english/docs_e/legal_e/26-gats_01_e.htm> accessed 16.02.2015; See also: Ghosh, B. “Managing Migration: Whither the Missing Regime? How Relevant is Trade Law to Such a Regime?”, (2007) Vol. 101, Proceedings of the Annual Meeting (American Society of International Law), p. 305.

¹³⁶ *Navigational and Related Rights (Costa Rica v. Nicaragua)*, Judgment, I.C.J. Reports 2009, pp. 242, para. 64.

¹³⁷ *ibid.* p. 243, para. 66; see also: *(Aegean Sea Continental Shelf (Greece v. Turkey))*, Judgment, I.C.J. Reports 1978, p. 32, para. 77.)

¹³⁸ WTO doc. WT/DS503/1 S/L/410, p.1.

სახელმწიფოთა დამოკიდებულების ანალიზს. სწორედ ამ მიზნებისათვის წინამდებარე ნაშრომი მიმოიხილავს საერთაშორისო სავაჭრო მოლაპარაკებათა სხვადასხვა რაუნდს და ვმო-ის მინისტერიალის კონფერენციებზე დაფიქსირებულ გადაწყვეტილებებს სოციალური საკითხების, კერძოდ კი შრომითი უფლებების, მსოფლიო სავაჭრო სისტემით მოწესრიგებულ სფეროებში ასახვა-არასახვის მიმართულებით, ისევე როგორც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის იურისდიქციათა თანხვედრისა და შრომითი უფლებების დაცვის კუთხით გლობალურ დონეზე არსებულ სტანდარტებს.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების შესაბამისად, უფრო თავისუფალი ვაჭრობით წარმოებული ეკონომიკური ზრდა საუკეთესო გზაა შრომითი პირობების გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით ღარიბ ქვეყნებში.¹³⁹ ქვეყნები, სადაც ძირითადი შრომითი სტანდარტები არ არის დაცული, იღებენ უფრო ნაკლებ გლობალურ ინვესტიციებს.¹⁴⁰ ვაჭრობასა და შრომას შორის არსებული ამკარა კავშირი კიდევ უფრო აძლიერებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოხდეს უფრო ეფექტური მექანიზმების ამოქმედება და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში არსებული ყველა საშუალების გამოყენება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შრომითი უფლებების დაცვა, რის გარშემოც დისკუსიები ამკარად სამომავლოდაც გაგრძელდება, იმ იმედით, რომ მსოფლიო სავაჭრო სისტემა უფრო მეტად გახდება ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული. კითხვა კი კითხვად რჩება – თუ მომსახურება და შრომა ურთიერთდაკავშირებულ ცნებათა ერთობლიობაა, მაშინ ამდენი დისკუსია სოციალური უფლებების ვმო-ის ქოლგის ქვეშ გასაერთიანებლად რა საჭიროა, ეს ხომ უცილობლად გულისხმობს, იმას, რომ ვმო-ის უკვე აქვს ვალდებულება, საკუთარ იურისდიქციას დაუქვემდებაროს სოციალური უფლებები? ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი

¹³⁹ Blanpain, Bisom-Rapp, Corbett, Josephs, Zimmer, *The Global Workplace International and Comparative Employment Law: Cases and Materials*, (Cambridge University Press 2012), p. 61.

¹⁴⁰ OECD - *International Trade and Core Labour Standards*, PolicyBrief, October 2000, available: <http://www.oecd.org/tad/1917944.pdf>, Last visited: 20 February 2015, იხილეთ ასევე: supra note 97, p. 59.

არსებობს: არსებული რეალობა თითქოს განგებ არის შეუმჩნეველად დატოვებული, რისი მიზეზიც გამომდინარეობს იქიდან, რომ ვმო-ის წევრ სახელმწიფოებს ემინიათ რაღაცის, ან იმიტომ, რომ მათ სურთ ამ ორგანიზაციის შენარჩუნება მხოლოდ შემოსავლებისა და გასავლების, ყიდვისა და გაყიდვის საჭირობო საკითხების განსახილველად და არანაირი სურვილი არ აქვთ, ადამიანის უფლებათა განხილვით დაიმატონ ყოველდღიური თავის ტკივილი. საგულისხმოა, რომ ვმო თავად სახელმწიფოებმა შექმნეს, რათა საერთაშორისო სამართლის ვაჭრობაზე ორიენტირებული დარგი ექციათ ეფექტურ, სტაბილურ და განჭვრეტად დარგად, რამაც, წესით, უნდა მოაწესრიგოს საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე არსებული უმთავრესი გამოწვევები. გამოთქმული მოსაზრების შესაბამისად, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია უნდა იყენებდეს სავაჭრო სანქციებს, რათა დაიცვას უმთავრესი შრომითი სტანდარტები მსოფლიოს მასშტაბით.¹⁴¹ ყოველთვის ადვილია იმის თქმა, თუ რა უნდა გაკეთდეს, მაგრამ აღსრულების პროცესი არცთუ ისე მარტივად მიმდინარეობს ხოლმე - ბევრია დამოკიდებული ძალთა შორის ბალანსსა და რეალურ შესაძლებლობებზე, რათა უფრო ძლიერებმა მოითხოვონ შესაბამისი სამართლებრივი სტანდარტების იმპლემენტაცია.¹⁴² ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, სადაც სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობა გარანტირებულია სადამფუძნებლო დოკუმენტებით განმტკიცებული და კარგად ჩამოყალიბებული სისტემის ფუნქციონირებით, კიდევ უფრო რთულია სოციალურ საკითხებზე კონსენსუსის მიღწევა და წევრ სახელმწიფოთა ერთხმად დარწმუნება იმაში, რომ ვაჭრობაში მეტი თავისუფლების შეტანითა და თითოეულ მათგანში შრომის სტანდარტების ამაღლებით უფრო მეტად მოხდება მდგრადი ეკონომიკური განვითარების პროცესის ხელშეწყობა, თუმცა თავად ის ფაქტი, რომ სახელმწიფოები ჯერ კიდევ ცდილობენ სოციალური სტანდარტების შესახებ დისკუსიების წარმოებას, შესაძლებელია, შეფასდეს დადებით მოვლენად იმ მიმართულებით, რომ ადრე თუ გვიან სახელმწიფოთა საერთაშორისო

¹⁴¹ Statement by President Bill Clinton during the Seattle Ministerial Conference 1999, cit.: supra note 97, p. 60.

¹⁴² Servais Jean-Michel, *International Labour Law*, (Kluwer Law International 2011) p. 36.

თანამეგობრობა მიაღწევს კონსენსუსს და ჩამოაყალიბებს ერთიან მიდგომას ვაჭრობასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით.

თუ ვმომართლავ მოწოდებულია საიმისოდ, რომ ხელი შეუწყოს მისი წევრი განვითარებადი სახელმწიფოების ეკონომიკურ ზრდას და თუ ის ცდილობს, რომ არ იყოს იზოლაციაში საერთაშორისო სამართლისაგან, მაშინ სიღარიბის აღმოსაფხვრელად ყველაზე ეფექტური გზა არის ვაჭრობის ლიბერალიზაცია მომსახურების სფეროში, რაც თავისთავად შექმნის შესაძლებლობას ცხოვრების სტანდარტის ასამაღლებლად და დოჰას განვითარების დღისწესრიგის შესასრულებლად.¹⁴³ ამგვარი მიდგომა ასევე შესაბამისობაში იქნება იოჰანესბურგის დეკლარაციასთან, რომელიც ხაზს უსვამს, რომ “დამოუკიდებელი და საყოველთაოდ მისაღები კომპონენტი მდგრადი განვითარების მისაღწევად არის აქტიური მოქმედება განვითარებისა და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეებზე”.¹⁴⁴

ნაშრომის შემდეგი ნაწილი ფოკუსირდება GATS-ის მეოთხე რეჟიმით დადგენილ – მომსახურების გაწევის მიზნებისათვის ფიზიკურ პირთა დროებითი მიგრაციის არსებით კომპონენტებზე ბუნოს აირესის 2017 წლის მინისტრიალის კონფერენციის შედეგების კვალდაკვალ, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ვმო-ს ყველა სახელმწიფოზე და მოუწოდებს ორგანიზაციას განვითარებადი სახელმწიფოებისათვის უფრო მეტი შესაძლებლობის შეთავაზებისაკენ”.¹⁴⁵

¹⁴³ WTO doc. WT/MIN(01)/DEC/1 para 6.

¹⁴⁴ Plan of Implementation of the World Summit on Sustainable Development (Report of the World Summit on Sustainable Development, Johannesburg, South Africa, 26 August-4 September 2002 (United Nations publication), is available on <http://www.un.org/esa/sustdev/documents/WSSD_POI_PD/English/WSSD_PlanImpl.pdf>, accessed 24 June 2018, p.1.

¹⁴⁵ WTO doc. WT/MIN(17)/55/Rev.1, para 10.

VII. დროებითი და ცირკულარული მიგრაცია სიღარიბის აღმოფხვრისა და ადამიანის უსაფრთხოების გადასახედთან

სიღარიბის აღმოფხვრა და ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მჭიდრო კავშირშია ადამიანთა საზღვრებსშორისი მობილობის შეუქცევად პროცესთან. საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ სხვა ფაქტორებს შორის განვითარებადი ქვეყნებიდან მომავალი მიგრანტთა გაზრდილი ნაკადების მთავარი მამოძრავებელი მიზეზი წამოშობის ქვეყანაში არსებული ეკონომიკური არასტაბილურობა და სიღარიბეა, რაც ადამიანს აკარგვინებს ელემენტარული უსაფრთხოების განცდას და აიძულებს ხსნა ეძებოს სხვა ქვეყანაში, რაც საბოლოო ჯამში საფრთხეს უქმნის როგორც გლობალურ ეკონომიკურ ზრდას ისევე უსაფრთხოების უზრუნველყოფას მთელს მსოფლიოში და ერთიორად ართულებს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს განსაკუთრებით სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მიგრაციის რეგულირებადი სხვა მრძნობიარე საკითხებიდან გამომდინარე.

ცხადია, რომ “მიგრაციის მართვა არის სახელმწიფოთა პოლიტიკური ნების გამოხატულება - სამართლებრივი ნორმებით მართონ ადამიანთა მობილობის შეუქცევადი პროცესი”.¹⁴⁶ საინტერესოა რამდენად არის შესაძლებელი, რომ მოხდეს სახელმწიფოთა დაყოლიება, გახსნან საკუთარი ტერიტორიული საზღვრები მიგრანტებისათვის თუნდაც დროებითი ან ცირკულარული მიგრაციის განხორციელების მიზნებისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული წარმოშობის ქვეყნებიდან ხანგრძლივადიანი ემიგრაცია.

“საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ნორმა, რომელიც აიძულებს სახელმწიფოს საზღვრების გახსნასა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საკუთარ ტერიტორიაზე დაშვებას, თუმცა ამის პარალელურად შესაძლებელია, არსებობდეს სისტემა, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული საიმისოდ, რათა სახელმწიფოებმა საზღვრების მეტი გახსნილობით დააგროვონ ეკონომიკური დოვლათი. ასეთ

¹⁴⁶ ნ. ფარსადანიშვილი, “საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით”, სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 51;

სისტემად კი უცილობლად საერთაშორისო სავაჭრო სისტემა უნდა იქნეს მიჩნეული”.¹⁴⁷

“შესაძლოა, კავშირმა ვაჭრობასა და მიგრაციას შორის გამოასწოროს არსებული მდგომარეობა და სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობები იქცეს იმ ძირითად ბერკეტად, რომელიც მოაწესრიგებს მიგრაციის მართვის ქაოსურ პროცესს, რადგანაც ამით შესაძლებელი გახდება მიგრაციის სფეროს მიმაგრება საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტური დარგისათვის, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სისტემაში. ვაჭრობასა და მიგრაციას შორის არსებული აშკარა კავშირი, რომლის ფესვებიც საერთაშორისო ხელშეკრულებების ისტორიულ წარსულში უნდა ვეძებოთ კიდევ ერთი დადასტურება აღნიშნული მსჯელობის სისწორის მიმართულებით. დღეისათვის სრული სახით შემორჩენილი უძველესი საერთაშორისო ხელშეკრულება არის ელბასა და ასურეთის მეფეებს შორის დადებული ხელშეკრულება მეგობრობასა და ვაჭრობაზე. აღნიშნული ხელშეკრულების ხელმოწერა მოხდა ქრისტესშობამდე მესამე საუკუნის შუა ხანებში”.¹⁴⁸ აღნიშნული ფაქტი იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს, რომ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ეკონომიკური განვითარების მნიშვნელობას ძალუძს მიგრაციის მართვის პროცესის მოწესრიგება.

ის ფაქტი, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია მიჩნეულია საერთაშორისო დონეზე მოქმედ ერთ-ერთ ყველაზე უფრო ეფექტურ საერთაშორისო ორგანიზაციად, გამომდინარე მისი დავების განხილვის სისტემის სავალდებულო იურისდიქციიდან და მბოჭავი ძალის მქონე სადამფუძნებლო ხელშეკრულებებიდან, იძლევა იმის პრეზუმფციის საშუალებას, რომ

¹⁴⁷ ნ. ფარსადანიშვილი, “საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით”, სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 51-54;

¹⁴⁸ K-H Ziegler, *Völkerrechtsgeschichte* (2nd edn 2007) § 2 II 1, p. 1.

შესაძლებელია, უკვე არსებულმა და კარგად განვითარებულმა სავაჭრო სისტემამ ბოლო მოუღოს მოუწესრიგებელ და ყბადაღებულ მიგრაციის ქაოსურ პროცესს.

ერთი რამ ცხადია: ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში წარმართულ სახელმწიფოთაშორის სავაჭრო ურთიერთობებში GATS-ი არის ერთ-ერთი მხრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც აწესრიგებს ფიზიკურ პირთა დროებით მიგრაციას მომსახურების გაწევის მიზნით, რაც, ერთი მხრივ, ნებას რთავს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეებს, გადაადგილდნენ ორგანიზაციის ტერიტორიულ საზღვრებში (სავაჭრო მოლაპარაკებებით დადგენილ ფარგლებში), ხოლო მეორე მხრივ, უზღუდავს არაწევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს გადაადგილების ამგვარ თავისუფლებას.

ის ფაქტი, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია დაინტერესდა ფიზიკურ პირთა მიგრაციის ასპექტებით, იძლევა იმის პრეზუმფციის შესაძლებლობას, რომ სავაჭრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ამ ორგანიზაციის მიდგომა მიგრაციის პროცესების მართვისადმი უფრო გამყარდება და მიგრაციის მართვის მრავალწახნაგოვანი და გამოწვევებით აღსავსე პროცესი ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდება სამართლის ჩარჩოებში მოქცეული სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების სურვილის ხარჯზე.¹⁴⁹

GATS-ის პირველი მუხლით განსაზღვრული ფიზიკური პირის დროებითი გამგზავრებით გაწეული მომსახურების მახასიათებლებისა და შრომით მიგრაციასთან მისი განსხვავება-მსგავსების დადგენის კვალდაკვალ ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროებითი გამგზავრების ვადების განსაზღვრას, რათა დადგინდეს უფლების მოცულობა და განისაზღვროს - სახელმწიფოს ტერიტორიაზე რამდენი ხნით დარჩენა ითვლება სამართლებრივ ნორმებთან

¹⁴⁹ ნ. ფარსადანიშვილი, “საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით”, სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 51-54.

შესაბამისად. ამ მიმართულებით გაანალიზებულია საერთაშორისო პრაქტიკა და ცირკულარულ მიგრაციასთან დაკავშირებული მთელი რიგი ასპექტები.¹⁵⁰

GATS-ის ნორმებით რეგულირებადი მიგრაციის მართვის საკითხებისა და მიგრაციის მართვის თვალსაზრისით არსებული საერთაშორისო სახელშეკრულებო ბაზის ანალიზის კვალდაკვალ ნაშრომი მიმოიხილავს მომსახურებით ვაჭრობის მარეგულირებელი მრავალმხრივი პრინციპებისა და წესების ჩარჩოს, მიმართულს იმისაკენ, რომ მომსახურებით ვაჭრობა განვითარდეს გამჭვირვალებისა და პროგრესული ლიბერალიზაციის პირობებში, რათა მოხდეს წევრ სახელმწიფოთა ეკონომიკური ზრდის წახალისება და განვითარებადი სახელმწიფოების განვითარებისათვის ხელშეწყობა, მათ შორის მათი შიდა მომსახურებითი შესაძლებლობების გაძლიერება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება. GATS-ის წევრი სახელმწიფოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ყველაზე ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებს მათში არსებული განსაკუთრებული ეკონომიკური მდგომარეობისა და სავაჭრო თუ ფინანსური საჭიროებების გათვალისწინებით, რადგანაც მომსახურების თავისუფლება არსებითი მნიშვნელობის მატარებელია სოციალური განვითარების, სიღარიბესთან ბრძოლის, კეთილდღეობის ხელშეწყობის, ძირითად მომსახურების სახეებთან ხელმისაწვდომობისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით.¹⁵¹

ფიზიკურ პირთა დროებითი მიგრაცია ანუ GATS-ის მე-4 რეჟიმში არის სარგებლის მომტანი როგორც გამგზავნი, ასევე მიმღები სახელმწიფოებისათვის და სწორედ ამიტომ ამ რეჟიმის ამოქმედებისას შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული განვითარებადი სახელმწიფოების მოთხოვნები.¹⁵²

GATS –ის მე-4 რეჟიმით გათვალისწინებული ფიზიკურ პირთა დროებითი მიგრაციის შესაძლებლობა აქტიურად განიხილებოდა ვმო-ში წლების

¹⁵⁰ Ibid.

¹⁵¹ ნ. ფარსადანიშვილი, “საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით”, სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 49.

¹⁵² WTO doc. TN/S/13.

განმავლობაში. ყველაზე მნიშვნელოვანი მინისტრიალის კონფერენციები ამ მიმართულებით არის ჰონ კონგის¹⁵³, ჟენევის¹⁵⁴, ნაირობის¹⁵⁵ და ბუენოს აირესის¹⁵⁶ მინისტრიალის კონფერენციები. მომსახურებით ვაჭრობის სფეროს მნიშვნელობის ზრდამ ვმო-ს სისტემაში გამოიწვია დისკუსიების დაწყება ახალი საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტზე – მომსახურებით ვაჭრობის ხელშეწყობის შესახებ. ეს ახალი ინიციატივა ნამდვილად არ არის ადვილად განსახორციელებელი¹⁵⁷ რის განხილვასაც დაეთმობა ნაშრომის წინამდებარე თავი მაგრამ იქამდე მნიშვნელოვანია მე-4 რეჟიმის შეფასება დროებითი მიგრაციის გადასახედიდან.

ვმო-ს წევრსახელმწიფოში მომსახურების გაწევის მიზნებისათვის ფიზიკურ პირთა მიგრაციის საკითხი დაკავშირებულია დროის პერიოდთან. მომსახურების გაწევის მიზნებისათვის ფიზიკურ პირთა გადაადგილების შესახებ GATS-ის დანარში მოცემული ფორმულირება, რომ “ხელშეკრულება არ აწესრიგებს ურთიერთობებს ფიზიკურ პირთა მიერ წევრსახელმწიფოში დასაქმების ბაზარზე წვდომის მოპოვებასა და მოქალაქეობის მიღების, მუდმივი ბინადრობისა და დასაქმების შესახებ”¹⁵⁸, იძლევა იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ ფიზიკურ პირთა ყოფნა წევრსახელმწიფოს ტერიტორიაზე უნდა იყოს დროებითი.¹⁵⁹ მნიშვნელოვანი ამ მოცემულობაში ის არის, რომ ვმო ეფუძნება წევრსახელმწიფოთა ვალდებულებების სქემებს, რომლებიც აუცილებლად გამომდინარეობს მათივე

¹⁵³ WTO doc. WT/MIN(05)/DEC.

¹⁵⁴ WTO doc. WT/L/847.

¹⁵⁵ WTO doc. WT/MIN(15)/48 WT/L/982.

¹⁵⁶ WTO doc. WT/MIN(17)/7/Rev.2 WT/GC/190/Rev.2, WT/MIN(17)/8, JOB/GC/166 JOB/TNC/68, JOB/SERV/274, WT/MIN(17)/19, JOB/GC/168 JOB/TNC/70, JOB/SERV/276, (WT/MIN(17)/7; WT/GC/190), WT/MIN(17)/20, WT/MIN(17)/11, JOB/GC/167 JOB/TNC/69, JOB/AG/133 JOB/DEV/50, JOB/DS/24 JOB/IP/28, JOB/MA/133 JOB/RL/10, JOB/SERV/275 JOB/TE/48.

¹⁵⁷ Azevêdo Underlines Growing Importance of Services in Global Trade, 17 October 2017, is available on <https://www.wto.org/english/news_e/spra_e/spra193_e.htm> accessed 23 August 2018.

¹⁵⁸ GATS Annex on Movement of Natural Persons Supplying Services under the Agreement, para. 2.

¹⁵⁹ The issue of temporariness also was put under the consideration of the council for Trade in Services and in particular its sub committee on services concerning measures relating to the entry and stay of natural persons dealing with the distinction between temporary and permanent residency as well as employment. The Subcommittee concluded that the commitments set out in the individual countries' schedules were sufficiently clear, so that there was no need for further multilateral work on this issue, for more information please see: *WTO Analytical Index: 'General Agreement on Trade in Services' is available on* <http://www.wto.org/english/res_e/booksp_e/analytic_index_e/gats_03_e.htm#fntext341> accessed 20/11/2015.

ეროვნული კანონმდებლობიდან და უცხოელთა ტერიტორიაზე შემოშვების მომწესრიგებელი ეროვნული სტრატეგიიდან.¹⁶⁰ აღნიშნული გამომდინარეობს სახელმწიფოთა უფლებიდან მიიღონ კანონები, რომლებიც აწესრიგებს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სახელმწიფო ტერიტორიაზე შემოშვებას და მათი დარჩენის პირობებს,¹⁶¹ როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ინტერესების დასაცავად.¹⁶² მიგრანტ მუშაკთა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენცია ხაზს უსვამს, რომ: “არაფერმა არ შეიძლება ხელი შეუშალოს სახელმწიფოს იმ უფლების განხორციელებაში რაც მას აძლევს შესაძლებლობას დაადგინოს მიგრანტი მუშაკებისა და მათი ოჯახის წევრების დაშვების კრიტერიუმები”.¹⁶³

“GATS-ის პირველი მუხლის შესაბამისად, ე.წ. მეოთხე რეჟიმის მომსახურება სახეზე მაშინ, როდესაც ფიზიკური პირი მომხმარებლის ტერიტორიაზე დროებითი გამგზავრებით აწვდის მომხმარებელს (ადვოკატი, თარჯიმანი, ლექტორი და ა.შ.) მომსახურებას. საინტერესოა, რომ, მიუხედავად თავად მომსახურების განმარტებისა, GATS-ი არ განმარტავს. თუ რას ნიშნავს დროებითი გამგზავრება. ამ საკითხის დადგენა კი არსებითი მნიშვნელობის არის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დადგინდეს უფლების მოცულობა და განისაზღვროს, სახელმწიფოს ტერიტორიაზე რამდენი ხნით დარჩენა ითვლება სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისად. რადგანაც ამ კითხვაზე GATS-ის ფარგლებში პასუხი არ მოიძებნება, სასურველია, გათვალისწინებულ იქნეს საერთაშორისო პრაქტიკა ამ მიმართულებით”.¹⁶⁴

¹⁶⁰ Please see: Schedules of commitments and lists of Article II exemptions, available at: < https://www.wto.org/english/tratop_e/serv_e/serv_commitments_e.htm >

¹⁶¹ UN Doc A/RES/40/144.

¹⁶² Convention concerning Migrations in Abusive Conditions and the Promotion of Equality of Opportunity and Treatment of Migrant Workers (adopted 24 Jun 1975, entry into force 09 December 1978) ILO Doc. C143, Art. 14; see also: Convention concerning Migration for Employment (adopted 01 Jul 1949, entry into force 22 January 1952) ILO Doc. C097, Art. 10.

¹⁶³ International Convention of the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families, (adopted 18 December 1990, entry into force 1 July 2003), UN Doc A/RES/45/158 Art.79.

¹⁶⁴ Nino Parsadanishvili, 'Poverty Eradication – Controversies between UN and WTO' (2018) vol. 4 Check Yearbook of Public and Private International Law, at p. 348.

თავად ის ფაქტი, რომ თითოეულ სახელმწიფოს თავისი აღქმა აქვს თუ რას ნიშნავს სიტყვა დროებითი, რაც შეიძლება მერყეობდეს რამდენიმე თვიდან 5 წელიწადამდე¹⁶⁵ წარმოადგენს დამატებით ბარიერს GATS-ის ფარგლებში მიგრაციის მოსაწესრიგებლად. თუ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა თანხმდება იმაზე, რომ ვაჭრობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სიღარიბის დასაძლევად და ეკონომიკური ზრდის წასახალისებლად, მაშინ აუცილებელია, რომ მოხდეს ტერმინ დროებითის ერთიან აღქმაზე შეჯერება ამ მიდგომის პრაქტიკაში დასაწერგად. სხვადასხვა კატეგორიის მიგრანტთა არსებობა (დროებითი მიგრანტი მუშაკები,¹⁶⁶ მოკლევადიანი მიგრანტები,¹⁶⁷ ტრანსიენტები¹⁶⁸, მიგრანტი მუშაკები,¹⁶⁹ საპროექტო მუშაკები,¹⁷⁰ თვითდასაქმებული მუშაკები,¹⁷¹ ცირკულარული მიგრანტები¹⁷²), კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს აღნიშნულ საკითხს. ნაშრომის მიზნებისათვის უპრიანია მოკლედ განვმარტოთ თითოეული მათგანი:¹⁷³ დროებითი მიგრანტი მუშაკი - პირი, რომელიც არის მუშაობის სფეროში დახელოვნებული, არასრულყოფილად დახელოვნებული ან დაუხელოვნებელი და,

¹⁶⁵Abella, Manolo (2006) 'Policies and Best Practices for Management of Temporary Migration', Paper presented at the International Symposium on International Migration and Development, UN Population Division, Turin, 28-30 June 2006; See also for example: Portugal: Act No. 23/2007.

¹⁶⁶International Migration Law, Glossary on Migration, (2004) IOM, 2004

¹⁶⁷*Ibid.*

¹⁶⁸*ibid.*

¹⁶⁹International Convention of the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families, (adopted 18 December 1990, entry into force 1 July 2003), UN Doc A/RES/45/158 Art. 2(1).

¹⁷⁰*Ibid.*, art.2(2).

¹⁷¹International Migration Law, Glossary on Migration, (2004) IOM, 2004.

¹⁷²EMN Glossary & Thesaurus, is available on <<http://ec.europa.eu/>> accessed 24.02.2015; Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions on circular migration and mobility partnerships between the European Union and third countries (COM (2007) 248), is available on <<http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:52007DC0248:EN:NOT>>, Cit.: European Migration Network, "Temporary and Circular Migration: empirical evidence, current policy practice and future options in EU Member States", September 2011, is available on <https://ec.europa.eu/home-affairs/sites/homeaffairs/files/what-we-do/networks/european_migration_network/reports/docs/emn-studies/circular-migration/0a_emn_synthesis_report_temporary_circular_migration_final_sept_2011_en.pdf>, accessed 24 February 2015, p. 14; Graeme, H. - What we know about Circular Migration and Enhanced Mobility, (2013) Policy Brief, Migration Policy Institute, No. 7; Bimal Ghosh (2007), "Managing Migration: Whither the Missing Regime? How Relevant is Trade Law to Such a Regime?", (2007) vol. 101 Proceedings of the Annual Meeting (American Society of International Law), p.304.

¹⁷³ ნ. ფარსადანიშვილი, "საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით", სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 54.

რომელიც ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ატარებს მასთან ან კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროის პერიოდს.¹⁷⁴

მოკლევადიანი მიგრანტი – ესაა პირი, რომელიც მიემგზავრება დანიშნულების ქვეყანაში, სულ მცირე, სამი თვით, მაგრამ წელიწადზე ნაკლები დროით. მოკლევადიან მიგრანტად არ იწოდება ის პირი, ვინც დანიშნულების ქვეყანაში მიემგზავრება დასასვენებლად, სამუშაო თუ სამედიცინო მომსახურების მისაღებად.¹⁷⁵

გრძელვადიანი მიგრანტი – არის პირი, რომელიც დანიშნულების ქვეყანაში მიემგზავრება, სულ მცირე, ერთი წლის ვადით ისე, რომ წარმოშობის ქვეყნისათვის ის ითვლება გრძელვადიან ემიგრანტად, ხოლო დანიშნულების ქვეყნისათვის გრძელვადიან იმიგრანტად.¹⁷⁶

ტრანსიენტები – პროფესიონალი ან დახელოვნებული მუშაკები, რომლებიც გადადიან ერთი ადგილიდან მეორეში, ხშირად როგორც საერთაშორისო კომპანიების თანამშრომლები.¹⁷⁷

მიგრანტი მუშაკი – პირი, რომელიც უნდა დასაქმდეს, დასაქმებულია ან მუშაობდა ანაზღაურებად სამუშაოზე სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეც არ არის ის.¹⁷⁸

პროექტის თანამშრომელი – მიგრანტი მუშაკი, რომელიც დანიშნულების ქვეყანაში მუშაობს მხოლოდ მისი დამსაქმებლის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში.¹⁷⁹

თვითდასაქმებული მუშაკი – მიგრანტი მუშაკი, რომელიც დაკავებულია ანაზღაურებადი საქმიანობით, ძირითადად, მარტო ან მისი ოჯახის წევრებთან ერთად. თვითდასაქმებულია ასევე ყველა ის მიგრანტი, რომელიც ასეთად არის

¹⁷⁴ *ibid.*

¹⁷⁵ *ibid.*

¹⁷⁶ *ibid.*

¹⁷⁷ *ibid.*

¹⁷⁸ International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families, 1990, Art. 2(1), 18.12.1990 <http://www2.ohchr.org/english/bodies/cmw/cmw.htm>, ნანახია: 14/02/2014.

¹⁷⁹ *Ibid.*, art. 2(2).

აღიარებული დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობისა თუ სხვა საერთაშორისო შეთანხმების შესაბამისად.¹⁸⁰

როგორც სამართლიანად აღინიშნა საერთაშორისო ექსპერტების მიერ, იმისათვის, რათა ცირკულარული მიგრაცია იქცეს განვითარების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად, ცირკულარულობა უნდა იქნეს ჯეროვნად მართული და სწორად წარმართული. მნიშვნელოვანია, რომ დანიშნულებისა და წარმოშობის სახელმწიფოებმა შექმნან ისეთი შეჯერებული სისტემა, რომელიც სასარგებლო იქნება როგორც დანიშნულების, ასევე წარმოშობის სახელმწიფოებისათვის და თავად მიგრანტებისათვის.¹⁸¹

ცირკულარული მიგრაცია¹⁸² ადამიანთა მობილობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტიპია. თანამედროვე სამყაროში მისი მნიშვნელობის ზრდა, ძირითადად, ორი უმთავრესი მიზეზით არის განპირობებული: 1) გადაადგილების თანამედროვე მექანიზმები იძლევა "ორ სახლს შორის" ცირკულირების შესაძლებლობას, და 2) კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებით შესაძლებელია ორივე სახლთან ბმის შენარჩუნება. მას, გარკვეულწილად, ეწოდება "პოზიტიური ცირკულირება", შემთხვევა, როდესაც პიროვნებები იღებენ გადაწყვეტილებას, არსებითად სასარგებლო საქმე გააკეთონ ერთზე მეტი ქვეყნისათვის.¹⁸³

ცირკულარულ მიგრაციაზე საუბრისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ასევე თავად ტერმინის განმარტებას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცირკულარული მიგრაციის განმარტებისას არ არსებობს ერთიანი მიდგომა. ცირკულარული მიგრაცია განსხვავებულად განიმარტება, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების

¹⁸⁰ *ibid.*

¹⁸¹ Graeme, H. 'What we know about Circular Migration and Enhanced Mobility', Policy Brief, Migration Policy Institute, No. 7, (2013). ნ. ფარსადანიშვილი, "საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით", სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 51

¹⁸² დამტებითი ინფორმაციისთვის ასევე იხ. დისერტაცია: ნ. ფარსადანიშვილი, "საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით", სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015). გვ. 51.

¹⁸³ Dovelyn, R. A. Newland, K. 'Circular Migration and Development Trends, Policy, Routes and Ways Forward' (Washington DC. Migration Policy Institute, 2007).

მიერ, ასევე თავად სახელმწიფოების მიერ. საინტერესოა, რომ ევროპული მიგრაციის კავშირის მიერ შემუშავებული ლექსიკონის შესაბამისად, დროებითი მიგრაცია განიმარტება როგორც: "მიგრაცია სპეციფიკური მოტივით და/ან მიზნით, იმ განზრახვით, რომ შემდეგ მოხდება წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება ან სხვა მიმართულებით გამგზავრება."¹⁸⁴ რაც შეეხება უშუალოდ ცირკულარულ მიგრაციას, ზემოხსენებული ლექსიკონი მას განმარტავს როგორც: "ერთი და იმავე პირის მიგრაციას ორ ან მეტ სახელმწიფოში."¹⁸⁵

ევროკავშირში ცირკულარულ მიგრაციასთან დაკავშირებით გამოიყოფა ორი ტიპი მიგრანტებისა, კერძოდ: მესამე სახელმწიფოს მოქალაქეები, რომლებიც დასახლდნენ ევროკავშირში და აქვთ შესაძლებლობა, საქმიანობა აწარმოონ წარმოშობის ქვეყანაში ისე, რომ დარჩნენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს რეზიდენტებად. მაგალითად, ამ კატეგორიის პირებში მოიაზრებიან ბიზნესმენები, რომელთაც სურთ საკუთარი წარმოშობის ქვეყანაში ბიზნესის წამოწყება ან ექიმები, პროფესორები და სხვა პროფესიონალები, რომელთაც სურვილი აქვთ, დაეხმარონ წარმოშობის ქვეყანას იმით, რომ საკუთარი პროფესიული საქმიანობის ნაწილი აწარმოონ წარმოშობის ქვეყანაში.¹⁸⁶

კიდევ უფრო საინტერესოა მესამე სახელმწიფოს რეზიდენტი პირების ცირკულარული მიგრაცია ევროკავშირში: მესამე სახელმწიფოს რეზიდენტებს ცირკულარული მიგრაცია აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ დროებით გაემგზავრონ ევროკავშირში სამუშაოდ, სასწავლებლად, პროფესიული დახელოვნებისთვის იმ პირობით, რომ მათთვის ევროკავშირში ყოფნის უფლების პერიოდის ამოწურვის შემდეგ ისინი დაბრუნდებიან წარმოშობის ქვეყანაში და იქ

¹⁸⁴ EMN Glossary, <http://www.emn.europa.eu>, ნანახია: 15.04.2014.

¹⁸⁵ Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions on circular migration and mobility partnerships between the European Union and third countries (COM (2007) 248), available from: < <http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:52007DC0248:EN:NOT>>, ციტ.: European Migration Network, "Temporary and Circular Migration: empirical evidence, current policy practice and future options in EU Member States", September 2011, p. 14.

¹⁸⁶ European Migration Network, "Temporary and Circular Migration: empirical evidence, current policy practice and future options in EU Member States", September 2011, p. 14.

გააგრძელებენ თავის ჩვეულ მოღვაწეობას. ცირკულარული მიგრაცია, გარკვეულწილად, პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს მიგრანტებს, რაც თავის თავში მოიცავს ასევე, მაგალითად, ქვეყანაში ხელახალი შემვების პროცედურების გამარტივებას. ეს კატეგორია მოიცავს მიგრანტთა ფართო სპექტრს, მათ შორის:

მესამე სახელმწიფოს მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ სურვილი, დროებით იმუშაონ (სეზონური სამუშაოები) ევროკავშირში, ან ისწავლონ ევროკავშირში, წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებამდე, ან ისეთი მოქალაქეები, რომელთაც ევროკავშირში სწავლის შემდეგ სურთ ადგილზე დასაქმება იმ პროფესიული გამოცდილების დაგროვების მიზნით, რომლის დაგროვებაც გაუჭირდებათ წარმოშობის ქვეყნებში; ასევე მესამე სახელმწიფოს მკვლევარებს ევროკავშირში კვლევითი პროექტის შესასრულებლად, მოქალაქეებს, რომელთაც სურთ კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საკითხებში თანამშრომლობა, ისევე როგორც მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვა ანაზღაურების გარეშე.¹⁸⁷

აღნიშნულ განმარტებათა შესაბამისად, დგინდება, რომ დროებითი მიგრაცია უფრო მეტად მიესადაგება ერთჯერად გადაადგილებას და ევროკავშირში განსაზღვრული ვადით ყოფნას, მაშინ, როდესაც ცირკულარული მიგრაცია გულისხმობს განმეორებით მოქმედებას და საზღვრის მრავალჯერადად კვეთას. იმის მიხედვით, წევრ სახელმწიფოს თუ როგორი განმარტება აქვს დამკვიდრებული, დროებითი და ცირკულარული მიგრაცია შესაძლოა მოიცავდეს, როგორც დროის მინიმუმ, ასევე მაქსიმუმ ხანგრძლივობას.¹⁸⁸

საინტერესოა, რომ სახელმწიფოებს განსხვავებული მიდგომა აქვთ, როგორც ცირკულარული მიგრაციის, ასევე დროებითი მიგრაციის ვადებსა და პირობებთან დაკავშირებით. ასე მაგალითად:

¹⁸⁷ *Ibid.*, გვ. 15.

¹⁸⁸ *Ibid.*, სხვადასხვა სახელმწიფოში ცირკულარული და დროებითი მიგრაციის მარეგულირებელ ნორმებთან დაკავშირებით იხ. ასევე: Manolo, A. (2006) 'Policies and Best Practices for Management of Temporary Migration', Paper presented at the International Symposium on International Migration and Development, UN Population Division, Turin, 28-30 June.

ფინეთში დროებით ყოფნად მოიაზრება დროის პერიოდი – რამდენიმე თვიდან 2 წლამდე;

საფრანგეთში – დროებითი მიგრანტი არის პირი, რომელიც მიემგზავრება თავისი ჩვეული რეზიდენტობის ქვეყნიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოში, სულ მცირე, სამი თვით, მაგრამ ერთ წელზე (12 თვეზე) ნაკლები დროით, მხოლოდ იმ პირობით, რომ საზღვრის კვეთა არ არის დაკავშირებული რეკრეაციულ, დასვენების, მეგობრებისა და ნათესავების მონახულების, საქმიან, სამედიცინო მიზნებსა თუ რელიგიურ პილიგრიმობასთან;

ლატვიაში დროებითი მიგრაცია განიმარტება საიმიგრაციო კანონის შესაბამისად, როგორც დროებითი რეზიდენტობის დოკუმენტი და აძლევს უცხოელს უფლებას, გარკვეული დროით იცხოვროს ლატვიაში. პირი ითვლება დროებით მიგრანტად იქამდე, სანამ ის არ მიიღებს მუდმივი რეზიდენტობის უფლებას;

ლიტვაში, მაგალითად, დროებითი მიგრაცია წესრიგდება უცხოელთა აქტით, რომლის შესაბამისად, არსებობს ორი სახის დროებითი მიგრაცია: საზღვრის კვეთა მოკლე ვადით და საზღვრის კვეთა დროებითი რეზიდენტობის მოპოვების მიზნით, მაქსიმუმ 5 წლის ვადით.¹⁸⁹

ლუქსემბურგში დროებითი მიგრაციის სამართლებრივი ასპექტები წესრიგდება 2008 წლის 29 აგვისტოს კანონით იმიგრაციისა და პირთა თავისუფალი გადაადგილების შესახებ. ამ აქტის მიხედვით, დროებითია ყველა მიგრანტი (უცხო ქვეყანაში დაბადებული მესამე სახელმწიფოს მოქალაქე), რომელიც არ არის უფლებამოსილი გრძელვადიანი რეზიდენტის სტატუსის (*statut de resident de longue durée*) მოპოვებისათვის, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესაა უცხო ქვეყანაში დაბადებული, უცხო ქვეყნის მოქალაქე, ვისი სამართლებრივი სტატუსიც არის დროებითი, მიუხედავად დროის იმ მონაკვეთისა, რაც მან დაჰყო ქვეყანაში;

¹⁸⁹ ნ. ფარსადანიშვილი, “საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით”, სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 54.

ნიდერლანდებში უცხოელთა აქტი განასხვავებს დროებით ბინადრობასა და სამუდამო ცხოვრების უფლებას ერთმანეთისაგან. დროებითი ბინადრობის ნებართვა გაიცემა ერთი წლის ვადით და შესაძლებელია გაგრძელდეს ყოველწლიურად, ხუთი წლის განმავლობაში. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ ავტომატურად წარმოიშობა ქვეყნის დატოვების ვალდებულება;¹⁹⁰

პორტუგალიაში დროებითი მიგრაცია იყოფა ორ კატეგორიად: 1) დროებითი კონტრაქტზე დამყარებული შრომითი მიგრაცია და 2) დროებითი მიგრაცია სასწავლო მიზნებისათვის. იმიგრაციის შესახებ კანონის შესაბამისად, დროებითი მიგრაცია განისაზღვრება 6 თვის ვადით, რომლის ამოწურვის შემდეგ მიგრანტი უნდა დაბრუნდეს წარმოშობის ქვეყანაში;¹⁹¹

ნაშრომში მოცემული ინფორმაცია ცირკულარული და დროებითი მიგრაციის შესახებ ერთის მხრივ გამოკვეთს იმ განსხვავებებს, რაც არსებობს სახელმწიფოებს შორის ადამიანთა მობილობის ვადებთან დაკავშირებით და მეორეს მხრივ კიდევ უფრო ნათელს ხდის იმას თუ როგორი მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს ვმო-ს ფარგლებში მომსახურებით ვაჭრობის გამარტივებამ და GATS-ის მე-4 რეჟიმის ამოქმედებამ ორგანიზაციის წევრი განვითარებადი სახელმწიფოების ინტერესების დასაცავად, რადგან ვმო-ის ფარგლებში არსებული ზოგადი სტანდარტი წევრ სახელმწიფოთა ფარგლებში დროებითი მიგრაციის შესაძლებლობის გააქტიურებით წარმოადგენს საუკეთესო გზას სიღარიბის აღმოსაფხვრელად და ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გლობალური ეკონომიკური ზრდის წახალისების მიზნებისათვის.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ GATS-ი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც ეფექტური მექანიზმი მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების

¹⁹⁰ Ibid.

¹⁹¹ Portugal: Act No. 23/2007 of 2007, Legal framework of entry, permanence, exit and removal of foreigners into and out of national territory [Portugal], 4 July 2007, ხელმისაწვდომია: <http://www.refworld.org/docid/48e4910b2.html>, ბოლოს ნანახია 2015 წლის 3 იანვარს. იხილეთ ასევე: ნ. ფარსადანიშვილი, “საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით”, სადოქტორო დისერტაცია, (თბ. 2015), გვ. 54.

მოსაწესრიგებლად ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას სუვერენიტეტისა და სახელმწიფო უსაფრთხოების კონცეფციებს. თავად ის ფაქტი, რომ გაეროს მსოფლიოს სამიტის შედეგები საერთაშორისო ვაჭრობას განვითარების მამოძრავებელ მექანიზმს უწოდებს¹⁹² კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს ვმო-ს ეფექტურობას და იმას, რომ გლობალური ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის აღმოფხვრის უზრუნველყოფა წარმოუდგენელია ვმო-ს გარეშე. სიღარიბის აღმოფხვრის მიმართულებით ვაჭრობის ლიბერალიზაციის აუცილებლობაზე მეტყველებს ასევე ისიც, რომ ვმო-ს წევრი სახელმწიფოები სულ უფრო მეტად ცდილობენ განვითარებადი სახელმწიფოების ინტერესებისათვის ყურადღების დათმობას.¹⁹³ მიმღებ და გამგზავნ სახელმწიფოთა შორის უფრო მეტი თანამშრომლობისა და დიალოგის წასახალისებლად და იმის წარმოსაჩენად, რომ დროებით მიგრაციას ორივე მხარისათვის შეუძლია სარგებლის მოტანა¹⁹⁴ აუცილებელია ვმო/ GATS-ის სისტემაში რეფორმების გატარება რათა უზრუნველყოფილ იქნას ფიზიკურ პირთა დროებითი მიგრაცია თუნდაც გარდამავალი პერიოდისათვის. მომსახურებით ვაჭრობის ხელშეწყობის შესახებ ახალი ხელშეკრულების ტექსტის მისაღებად კონსულტაციების დასაწყებად ინდოეთის მიერ გაკეთებული შემოთავაზება ძალიან საინტერესოა, მაგრამ ბუნოს აირესის 2017 წლის მინისტრიალის კონფერენციაზე გამართულმა სავაჭრო მოლაპარაკებების პროგრესის გარეშე ჩავლამ წარმოაჩინა, რომ ამ იდეას ამ ეტაპისთვის წარმატება არ უწერია. ჩვენი აზრით ვმო-ს წევრებს შეუძლიათ დაიწყონ

¹⁹² UN Doc A/RES/60/1.

¹⁹³ Members Move to Enact Bali Decision on LDC Services Waiver, is available on < https://www.wto.org/english/news_e/news15_e/serv_05feb15_e.htm> accessed 23 August 2018; Oonagh Sands *Temporary Movement of Labour Fuels GATS Debate*, 1 June 2004, is available on <<http://www.migrationpolicy.org/article/temporary-movement-labor-fuels-gats-debate>> accessed 24 February 2015; General Agreement on Trade in Services, Arts. I and XIII; Mitsuo Matsushita, Thomas. J. Schoenbaum, Petros. C. Marvoidis, *The World Trade Organization Law, Practice, and Policy* (Oxford University Press 2008) p. 228-229; A. Mattoo, A. Carzaniga, *Moving People to Deliver Services* (World Bank and Oxford University Press 2003) p.21.; S. Lester, B. Mercurio, *World Trade Law* (Hart Publishing 2008) p. 604; A. T. Guzman, J. H. B. Pauwelyn, , *International Trade Law* (Aspen Publishers 2009) p. 567.

¹⁹⁴ Programme of Action adopted at the International Conference of Population and Development, Cairo, 5-13 September 1994, is available on < https://www.unfpa.org/sites/default/files/event-pdf/PoA_en.pdf >, p.83, accessed 15 June 2018.

ფიქრი თავად GATS-ის განსხვავებულად განსამარტავად, რაც გამოსავლის უფრო ადვილად პოვნის შესაძლებლობას შექმნიდა, ვიდრე ეს იქნება სრულიად ახალი ხელშეკრულების მისაღებად მოლაპარაკებების წარმართვა.¹⁹⁵ ან თუ ვმო-ს წევრისახელმწიფოები მაინც გადაწყვეტენ რომ დაიწყონ მუშაობა ახალი ხელშეკრულების ტექსტზე, მაშინ ეს ხელშეკრულება უნდა იყოს არასავალდებულო ხასიათის მრავალმხრივი ხელშეკრულება. ასეთი მიდგომა წევრებს შესაძლებლობას მისცემს, რომ გარდაქმნან ვმო საკუთარი სარგებლის შესაბამისად.¹⁹⁶ ახალი არასავალდებულო ხასიათის მრავალმხრივი ხელშეკრულება შესაძლებლობას მისცემს წევრსახელმწიფოებს თავისუფლად შეუერთდნენ ხელშეკრულებას მათივე ეკონომიკური პრეფერენციებიდან გამომდინარე. ახალი ხელშეკრულება უნდა ფოკუსირდებოდეს მომსახურებით გამწვევთა დროებითი მიგრაციის მოწესრიგებაზე და მათთვის ან სავიზო ბარიერების სრულად გაუქმებაზე ან გამარტივებული სავიზო რეჟიმის ამოქმედებაზე,¹⁹⁷ რითიც ასევე შეასრულებს სოციალური განვითარების შესახებ გაეროს კოპენჰაგენის დეკლარაციის მოთხოვნას, რომ ორივე ეკონომიკური და სოციალური გადასახედიდან ყველაზე პროდუქტიული პოლიტიკაც და ინვესტიციაც არის ის, რომ გააძლიეროს ხალხის შესაძლებლობები, რესურსები და უნარები.¹⁹⁸

VIII. დასკვნა

სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებები, ადამიანის უსაფრთხოებისა და სიღარიბის დაძლევის მიმართულებით გამოირჩევა განსაკუთრებული სირთულითა და პრაქტიკაში გამოვლენილი პრივილეგიების განსხვავებულობით. გაეროს მიერ

¹⁹⁵ Nino Parsadanishvili, 'Poverty Eradication – Controversies between UN and WTO' (2018) vol. 4 Check Yearbook of Public and Private International Law, at p. 350.

¹⁹⁶ Bregt Natens, Jan Wouters, 'The State of Play and Future of Services Negotiations in the WTO' (2013) vol. 4 Check Yearbook of Public and Private International Law, at p. 253.

¹⁹⁷ Nino Parsadanishvili, 'Poverty Eradication – Controversies between UN and WTO' (2018) vol. 4 Check Yearbook of Public and Private International Law, at p. 350.

¹⁹⁸ UN, World Summit for Social Development 'Copenhagen Declaration on Social Development', A/CONF.166/9, Para 7.

სიღარიბის აღმოფხვრასა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაში ვმო-ს წამყვანი როლის აღიარება აჩვენებს რეალობის მხოლოდ ერთ მხარეს. რაც არ უნდა ზრდაზე ორიენტირებული მიდგომები არ უნდა არსებობდეს ვმო-ში ფაქტი უცვლელად რჩება – მომსახურებით ვაჭრობის სფეროს მიმართ არსებული დღითიდღე მზარდი ინტერესი ვმო-ს ძალიან რთულ მდგომარეობაში აყენებს.

მორიგი წინააღმდეგობრივი საკითხი რაც იკვეთება გაეროსა და ვმო-ს ურთიერთობებში არის დაკავშირებული შრომით უფლებებთან. მიუხედავად იმისა, რომ ვმო ცდილობს გაემიჯნოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კომპეტენციას საერთაშორისო დონეზე განვითარებული მოვლენები განსაკუთრებით ეკონომიკური ზრდით გამოწვეული შრომითი მდგომარეობის გაუმჯობესების დინამიკა,¹⁹⁹ ცხადყოფს ამ ორ ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის აუცილებლობას. აღნიშნული ასევე გამომდინარეობს შრომისა და მომსახურების განმარტებითი მსგავსებისაგან და თვალნათლივ წარმოაჩენს ვმო-ს კომპეტენციას აღნიშნულ სფეროში.

მომსახურების სფეროში მოლაპარაკებათა ჩიხში შესვლა წარმოადგენს უმთავრეს ბარიერს, რაც ხელს უშლის განვითარებადი სახელმწიფოების ინტერესების გატარებას განსაკუთრებით GATS-ის მე-4 რეჟიმის პერსპექტივიდან. ერთადერთი გამოსავალი მოცემულ სიტუაციაში არის ან თავად GATS-ის რეფორმირება ან მომსახურებით ვაჭრობის ხელშეწყობის შესახებ ხელშეკრულების გამოყენება საიმისოდ, რომ ახალი პლათფორმის შექმნით მომსახურებით ვაჭრობის მოლაპარაკებები ჩიხიდან გამოვიდეს.²⁰⁰

¹⁹⁹ Roger Blanpain, Susan Bisom-Rapp, William R. Corbett and Hilary K. Josephs and Mich Zimmer, *The Global Workplace, International and Comparative Employment Law: Cases and Materials* (Aspen Publishers 2nd ed. 2012) p. 61.

²⁰⁰ Nino Parsadanishvili, 'Poverty Eradication – Controversies between UN and WTO' (2018) vol. 4 Check Yearbook of Public and Private International Law, at p. 351.

THE LEVELS OF THE DEVELOPMENT OF INTERNATIONAL NEGOTIATIONS TO ENSURE HUMAN SECURITY AND POVERTY ERADICATION

I. EXECUTIVE SUMMARY

